www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 30 მარტი, 2003 წელი. №87 (299)

ფასი 50 თეთრი

# ისევ აქ ვართ, ამ შეშლილ, შეშლილ, შეშლილ მსოფლიოში

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ერაყში საშინელი ქვიშის ქარბუქი ამოვარდა. ერთ-ერთი ამერიკული ქვედანაყოფის ჯარისკაცმა, რომელსაც თვალები ქვიშით ამოევსო, შიშით იკითხა:

- სად ვართ?

- ერაყში, - უპასუხა მეორემ, როგორც ჩანს, უფრო ოხუნჯმა.

მაგრამ, ამერიკული ჯარი რომ ერაყში იმყოფება, ამაზე არც თავად ამერიკელებს ეხუმრებათ და, მით უმეტეს - არც ერაყის მოსახლეობას.

კიდევ ერთმა ჯარისკაცმა ქვიშის ქარბუქი თოვლისას შეადარა და დანანებით თქვა:

- ამ ქვიშის დედა ვატირე, თოვლი დნება მაინც!

არაბეთის უდაბნოს ქვიშა თოვლივით ნამდვილად არ დნება, თან ამერიკელ ჯარისკაცებს თვალებს ისე უვსებს, რომ ხანძრითა და წამდაუწუმ აფეთქებული ავიაბომბებით გაჩახჩახებულ ბაღდადს ველარ ხედავენ.

ერაყის ომში მიმდინარე ბრძოლების დახასიათება რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება: ამერიკული ჯარის საზღვაო და ქვეითთა ნაწილებმა ტიგროსი და ევფრატი გადალახეს და სამი მიმართულებით მიიწევენ ბაღდადისკენ. მათ მიერ გზად გავლილი ქალაქების, მათ შორის ბაერის წმენდა, ძირითადად, ბრიტანულმა ქვედანაყოფებმა ითავეს. 10 ათასი ფუტის სიმაღლისა და 30 კვანძის სიჩქარის ქვიშის ქარბუქი კი საშუალებას არ აძლევს "აპაჩის" ვერტმფრენებს, ბაღდადის გარშემო მობილიზებული რესპუბლიკური გვარდია ჩაცხრილონ. ამიტომ, ამჯერად მათ როლს რაკეტები ("მიწა-მიწა") ასრულებენ. ამერიკულ ვერტმფრენებს, ქვიშის ქარბუქის გარდა, კიდევ ერთი პრობლემა აქვთ - ერაყული რაკეტები ("მიწა - ჰაერი"). მათი ცეცხლოვანი იერიშების თავიდან ასაცილებლად "აპაჩებმა" "რადარს ქვემოთ" დაიწყეს ფრენა, მაგრამ იქ ჩვეულებრივი თოფ-ზარბაზნების ცეცხლის ალში გაეხვნენ. 32 "აპაჩიდან" 30 დაიცხრილა, ორი - ჩამოვარდა. "პრიმიტიული ტექნოლოგიებით გვებრძვიან," - ვერ მიხვდებოდი, ჩიოდნენ თუ აღშფოთებით ამბობდნენ ამერიკელები.


REUTERS

ამერიკელებს უჭირთ ქარბუქში ორიენტირება.

ვიდრე ქარბუქი მძვინვარებს, ამერიკული სარდლობა საკუთარ ჯარს მოწინავე პოზიციებზე უყრის თავს - ბაღდადზე შტურმის მისატანად, რომელიც ომის "გრავიტაციულ ცენტრადაა" გამოცხადებული. აქ უამრავ საწვავსა და საომარ აღჭურვილობას ეზიდებიან. საზღვაო ქვეითებს ნავთობსადენი გაჰყავთ, არმიის ქვედანაყოფები თავიანთი კოლონების მეთვალყურეობას აძლიერებენ, რათა ეს უკანასკნელები "ჰუსეინის მწვალებლებად" წოდებული ფაედინების (ერაყის უშიშროების ძალები და პოლიცია) თავდასხმებისგან დაიცვან.

ზემოთ სიტყვა "შტურმი" ვახსენე. ეს სიტყვა ერთგვარად გამარტივებულად ასახავს ბაღდადის ირგვლივ შექმნილ მთელ სიტუაციას. აშშ-ს ჯარის მეხუთე კორპუსის მეთაურის, გენერალ უილიამ უოლესის თქმით, რომელიც ბაღდადის კარიბჭესთან აღმოჩნდა, ამე-

გაგრძელება A3 გვერდზე

## რამ აიძულა რიჩარდ პერლი, გადამდგარიყო

ირაკლი არეშიძე

ამერიკული მედიის ცნობით, 2002 წლის 28 მარტს გადადგა რიჩარდ პერლი, აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის უფროსი მრჩეველი და პენტაგონის თავდაცვის პოლიტიკის სათათბირო საბჭოს თავმჯდომარე; გადადგომის მიზეზად სახელდება დემოკრატი ლიბერალების მხრიდან მის წინააღმდეგ გაჩაღებული კრიტიკის კამპანია. პერლის კრიტიკა კი კომპანია "Global Crossing"-თან მისი სახელის ასოცირებიდან მომდინარეობს. კავშირგაბმულობის ეს კომპანია გაკოტრებულია და ცდილობს, მიიღოს ნებართვა, რათა ჰონ-კონგელმა მილიარდერმა ლი კა შინგმა შეძლოს მისი შეძენა. "Global Crossing"-ი ასრულებდა გარკვეულ დაკვეთებს თავდაცვის სფეროში და, აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, მისი გაყიდვა საჭიროებს მთავრობის ნებართვას, რისთვისაც კომპანიამ დაიქირავა პერლი.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პერლის თანამდებობა თავდაცვის პოლიტიკის საბჭოში არ წარმოადგენდა საჯარო სამსახურს. პერლი, როგორც საბჭოს თავჯდომარე, ასრულებდა პენტაგონის კონსულტანტის ფუნქციებს, ხოლო თავად საბჭოს მოვალეობებს განეკუთვნებოდა სხვადასხვა შესაძლებელი სტრატეგიების განხილვა და შეფასება, მაგრამ არა თვით პოლიტიკის შემუშავება.

როდესაც რამსფელდი დაინიშნა თავდაცვის მდივნად, მან რიჩარდ პერლს შესთავაზა თავდაცვის პოლიტიკაში მდივნის მოადგილის, პენტაგონში რანგით მესამე უმაღლესი თანამდებობა (რონალდ რეიგანის დროს, პერლი მუშაობდა თავდაცვის მინისტრის თანაშემწედ, შემდგომ კი - მრჩეველად კონსერვატიული შეხედულებების დემოკრატ სენატორ სქუფ ჯექსონთან, რომელსაც დემოკრატიული პარტიის ლიბერალური ფრთა დასანახად ვერ იტანს). პერლმა უარი თქვა მოადგილის პოსტზე,

გაგრძელება A3 გვერდზე

## რეფორმის პირველი ეტაპი პოლიციაში

ინგა ალავიძე

*მას შემდეგ, რაც უწყებათაშორისმა კომისიამ, რომელიც სამართალდამცველი სტრუქტურების რეფორმაზე მუშაობდა, საქმიანობა დაასრულა და რეფორმის სრული პაკეტი მოამზადა, 5 თვე გავიდა. რეფორმის პირველი ეტაპი – ატესტაცია გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა უკვე გაიარეს. ახლა ჯერი შსს-სა და უშიშროების სამინისტროზეა.*

რეფორმის პროექტით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქამდე არსებული ტრადიციული პოლიციური "არტახები" მოეხსნება და იგი სამოქალაქო სტრუქტურად გარდაიქმნება.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ქურთები და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ბრძოლებში ჩაერთვნენ

ლევან ღირსიაშვილი

### შესაძლო პაუზა ბაღდადისათვის ბრძოლაში

გუშინ სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც აშშ-ს სამხედრო სარდლობამ ბაღდადზე შეტევის დროებით შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. სააგენტოს მტკიცებით, **"ტაქტიკურმა პაუზამ, შესაძლოა, ოთხიდან ექვს დღემდე გასტანოს."** "როიტერის" ინფორმაცია აშშ-ს სამხედრო სარდლობამ არც უარყო და არც დაადასტურა. სააგენტო "ბი-ბი-სი"-სთან საუბარში პენტაგონის მაღალჩინოსანმა წარმომადგენელმა "როიტერის" ცნობის კომენტირებისას განაცხადა: **"ჩვენ ამ ინფორმაციას არავითარ შემთხვევაში არ ვადასტურებთ. აშშ თავისი სამომავლო გეგმების თაობაზე არ ისაუბრებს."**

მიუხედავად ამისა, სააგენტო "როიტერი" ირწმუნება, რომ პენტაგონი ამ ეტაპზე სასწრაფოდ ცდილობს იმ ორი ძირითადი და მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას, რომელიც ერაყში მოკავშირეთა არმიის წინაშე წარმოიშვა. კერძოდ, ზურგის არასაკმარისი მომარაგება და ერაყელების თავგანწირული წინააღმდეგობა.

ორი დღის წინ, აშშ-ს არმიის გენერალმა აღიარა, რომ ერაყის სამხედრო ფორმირებებიდან ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ. **" ეს სრულებით არ არის ის ომი, რისთვისაც ჩვენ ვემზადებოდით,"** - განაცხადა "ვაშინგტონ პოსტთან" ინტერვიუში გენერალმა უოლესმა.

თეთრი სახლის ოფიციალური პოზიცია კი კვლავ შეუცვლელია – ერაყში სადამის რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ აქვე აშშ-ს ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ომი, შესაძლოა, დროში გაიწელოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "აღორძინებას" ქუჩაში შეურაცხყოფენ და თვითონაც ქუჩისკენ იყურება

გიორგი ასანიშვილი

"დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ლიდერები ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ტოტალურ ზეწოლასა და ძალადობაზე ალაპარაკდნენ. თავისი მტკიცებულების საფუძვლად, ჯემალ გოგიტიძე და ცოტნე ბაკურია რამდენიმე კრიმინალურ ფაქტს ასახელებენ: 7 მარტს გაიქურდა "აღორძინების" დიდუბის რაიონული ორგანიზაციის ოფისი; 21 მარტს სასტიკად სცემეს გლდანი-ნაძალადევის რაიონული ორგანიზაციის წევრებს - დედა-შვილ კიზივაძეებს, როდესაც ისინი ქუჩაში გამვლელებს პარტიული კონფერენციის შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას; 26 მარტს, პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა სამმა პირმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა "აღორძინების" აგიტატორს...

ასლან აბაშიძის თანამებრძოლთა განსაკუთრებულ აღშფოთებას ის გარემოება იწვევს, რომ ზემოთ დასახელებულ და კიდევ მრავალ სხვა ანალოგიურ დანაშაულებზე სამართალდამცავი ორგანოები არ რეაგირებენ, არც ერთ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული და ისინი კვალიფიცირდება, როგორც წვრილმანი ხულიგნობა.

ჯემალ გოგიტიძის თქმით, სამართლიან მოთხოვნაზე, რომ ძალადობის ფაქტები სათანადოდ იქნას შესწავლილი და გამოძიებული, იგი ცინიკურ პასუხს ღებულობს: **"მერე რა მოხდა? ამაზე ტეხთ განგაშს, როდესაც კახი ასათიანი მოკლეს და თავად შევარდნაძესაც კი მოუწყეს ტერაქტი?".**

"აღორძინების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე იმითაც არის უკმაყოფილო, რომ "ხელისუფ-

გაგრძელება A2 გვერდზე

## ირლანდიური სიმწვანე ქართული ფეხბურთის ჭაობში

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს და ირლანდიის ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩის დასრულებას რამდენიმე წუთი უკლდა, რომ ვინატრე: ღმერთო, რა იქნება, ორი ფენომენი – ქართული ენერგეტიკა და ქართული ფეხბურთი კიდევ ერთხელ წაეხმარონ ერთმანეთს და თავსლაფის დასხმას გადაგვარჩინონ-მეთქი. მაგრამ, "ვოლვოს" გენერატორმა ბოლომდე გამართულად იმუშავა და ორი ტაიმის დასრულების შემდეგ, ტაბლომ მასპინძელთათვის მორიგი სამარცხვინო ანგარიში დააფიქსირა:

**საქართველო 1 : 2 ირლანდია**

"ლოკომოტივის" სტადიონი,
19 ათასი მაყურებელი.

**საქართველო:** ლომაია, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია (დემეტრაძე, 46`), ქინქლაძე (დიდავა, 71`), იაშვილი. **მთავარი მწვრთნელი:** ალექსანდრე ჩივაძე.

გაგრძელება A6 გვერდზე



მორიგი მარცხის ეპიზოდი.

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | ☼ |
| ქუთაისი | 13 | ☼ |
| ბათუმი | 10 | ☼ |
| სოხუმი | 11 | ☁ |
| ფოთი | 11 | ☼ |
| თელავი | 7 | ☼ |
| ზუგდიდი | 13 | ☼ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1250 |
| ევრო | 2.2774 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3176 |
| რუბლი | 0.0677 |

A2 ინფორმაცია A3 უცხოეთი A4 ინფორმაცია A5 კულტურა A6 სპორტი A7 განცხადებები A8 სხვადასხვა

## მოსამართლე თვალებამოკერილ პატიმარს ელოდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

რამდენიმე დღის წინ, მეხუთე საპყრობილის პატიმარმა პროტესტის ნიშნად თვალები და პირი ამოიკერა. 26 წლის რევაზ სოლომნიშვილი გურჯაანელმა სამართალდამცველებმა, ავტომანქანის გატაცების ბრალდებით, რამდენიმე თვის წინ დააკავეს.

ბრალდებული სამართალდამცველებსა და სასამართლოს პროტესტს უცხადებს და ორთაჭალის ციხიდან გათავისუფლებას ითხოვს. მის გასასამართლებლად დანიშნული სასამართლო პროცესი, რომელიც გურჯაანში უნდა ჩატარებულიყო, ერთხელ უკვე ჩაიშალა, რადგან პატიმარმა პროცესზე დასწრებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

**"ჩემს თავს სასწაული ხდება, უდანაშაულო მწყემსი ვარ. მანქანაში სულ სამჯერ თუ ვიქნები ჩამჯდარი. მანქანის ტარებაზე ხომ სულ ზედმეტია ლაპარაკი, ყველამ იცის, რომ არაფერი დამიშავებია, მაგრამ მაინც პატიმრობაში ვარ",** - აცხადებს თვალებამოკერილი რევაზ სოლომნიშვილი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" წარმომადგენლებმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის უფროსმა აქციის დაწყების დღესვე მოინახულეს.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, სოლომნიშვილის საქმეში ბრალეულობის მტკიცებულებები არ არსებობს. ხუთი თვის განმავლობაში, გამომძიებელს პატიმარი მხოლოდ ერთხელ უნახავს და არც მისი დაკითხვით შეუწუხებია თავი.

**"უკვე მეცხრე დღეა, საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებული უბრალო მწყემსი, რევაზ სოლომნიშვილი საკანში საპროტესტო აქციას მართავს და გათავისუფლებას ითხოვს. გურჯაანის სასამართლო კი განსასჯელის ჩვენებას უცდის",** – აცხადებენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში.

**"ჩამოვიდეს და ყველაფერი სასამართლო პროცესზე გავარკვიოთ",** – ითხოვს გურჯაანელი მოსამართლე.

ჩვენი ინფორმაციით, რევაზ სოლომნიშვილის სასამართლო პროცესი 3 აპრილს არის დანიშნული. გაჰყვება თუ არა ამჯერად ბადრაგს საკუთარ რაიონში და მისცემს თუ არა ჩვენებას სასამართლოს, რომელსაც წინასწარვე უცხადებს უნდობლობას, თვალებამოკერილ და პირამოკერილ პატიმარს ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს.

რევაზ სოლომნიშვილის საქმეში ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო, სავარაუდოდ, სასამართლო მწყემს პატიმარს გაათავისუფლებს, და როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, მის დამკავებელსა და მისთვის ბრალის წამყენებელს პასუხს არავინ მოსთხოვს.

## შეფის და ღირსების დასაცავად

*ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები, გუშინ საკრებულოს მიერ მათი ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. სამსახურის პროფკავშირების მიერ ორგანიზებული შეკრება ერთობ ემოციური აღმოჩნდა. მისი მონაწილენი თბილისის პარლამენტის ამ ნაბიჯს ტენდენციურს უწოდებენ და ობიექტურობას დედაქალაქის მთავრობის თავისგან ელიან.*

მაკა ჯაიანი

ნაკლებსავარაუდოა, ამ შემთხვევაში ვანო ზოდელავამ მათი იმედები გაამართლოს, ასეთი შესაძლებლობა მას იურიდიული ნორმების გამო არ მიეცემა. სანიტარიული სამსახურის თანამშრომები კი დარწმუნებულნი არიან, რომ საკრებულოს მიერ მათი ხელმძღვანელისადმი წაყენებული ბრალდებები მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. გარდა ამისა, ისინი მიიჩნევენ, რომ საკრებულო მთელი სანიტარიული სამსახურის დისკრედიტაციას ახდენს, თანაც - უკვე კარგა ხანია. სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში ასევე აცხადებენ, რომ მათი შემოწმება არაკომპეტენტურად მოხდა.

სამსახურის ხელმძღვანელობა ხაზს უსვამს, რომ, თუ ამ ხნის განმავლობაში თბილისში ჯგუფური მოწამვლებისა და მწვავე ინფექციური დაავადებების ფაქტები არ დაფიქსირებულა, მხოლოდ და მხოლოდ სანიტარიული ზედამხედველობის თვალსაზრისით გატარებული შესაბამისი ღონისძიებების დამსახურებაა. აქედან გამომდინარე, საკუთარ ქმედითუნარიანობას ისინი სხვაგვარად აფასებენ. თანამშრომელთა ნაწილის განაწყენებას კი იმით ხსნიან, რომ, ბიუჯეტის შემცირების შემდეგ, სამსახური 71 თანამშრომლის, ძირითადად, ექთნების დათხოვნის აუცილებლობის წინაშე დადგა.

თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის მომავალი ხელმძღვანელის ვინაობის ირგვლივ სამსახურის თანამშრომლები არ მარჩიელობენ. მით უმეტეს, რომ მედიცინის მუშაკთა დაცვის ასოციაცია "დედა და ბავშვი" შესარჩევ კონკურსში ისევ ჯუღული ახვლედიანის კანდიდატურის დაყენებას აპირებს. თავად ახვლედიანი მის გათავისუფლებას ტრაგედიად არ აღიქვამს. **"მე სანიტარიული ექიმი ვარ და ამ სიბერეში პროფესიას ვერ შევიცვლი, მთავარია, შრომა, რომელიც ამ სამსახურმა გასწია, წყალში არ ჩაიყაროს",** - ამბობს იგი.

### პრეზიდენტი ძალოვანებით კმაყოფილია

შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ სამუშაო თათბირზე, რომელსაც ძალოვანი უწყებების პირველი პირები ესწრებოდნენ, დადებითად შეფასდა ისანი-სამგორის რაიონში გვარდიის ყოფილი ოპერატიული პოლკის დისლოკაციის ადგილზე 23 მარტს მომხდარი ინციდენტის აღკვეთასთან დაკავშირებით გატარებული ოპერატიული მოქმედებები. შინაგან საქმეთა მინისტრმა არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პროკურატურამ თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანიც დაკითხოს. თავის მხრივ, თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ თათბირის შემდეგ განაცხადა, რომ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების თაობაზე მას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

*პრაიმ-ნიუსი*

### "ახლებს" სერიოზული წარმატების იმედი აქვთ

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" გენერალური მდივანი, პარლამენტარი დავით საგანელიძე ვარაუდობს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში "ახალი მემარჯვენეები" 70-80 სადეპუტატო მანდატის მოპოვებას შეძლებენ. დავით საგანელიძის განცხადებით, შვიდპროცენტიან საარჩევნო ბარიერს, სავარაუდოდ, გადალახავენ ლეიბორისტები, "დემოკრატიული აღორძინების კავშირი", "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის", "ტრადიციონალისტების" და "გაერთიანებული დემოკრატების" ბლოკი, აგრეთვე "მოქალაქეთა კავშირი", რომელსაც დიდი სახელისუფლებო რესურსი გააჩნია. ამასთან, დავით საგანელიძე მიიჩნევს, რომ პარლამენტში უმრავლესობის - 118 მანდატის მოპოვებას ვერც ერთი პარტია ვერ შესძლებს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტში შესულმა ცალკეულმა პოლიტიკურმა ძალებმა, უმრავლესობის შექმნის მიზნით, გაერთიანება გადაწყვიტონ.

*პრაიმ-ნიუსი*

### მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა ეუთო-ს წევრი ქვეყნების ელჩებმა გუშინ საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი მოინახულეს. ელჩებმა შატილში, ომალოში, გირევსა და არხოტში განლაგებულ ეუთო-ს მონიტორინგის ჯგუფებს შეხვდნენ და მათგან საზღვარზე არსებული მდგომარეობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მოისმინეს. მათ საზღვარზე არსებული მდგომარეობის შეფასება არ გაუკეთებიათ და მხოლოდ ინფორმაციის მიღებით შემოიფარგლნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე, შატილში, სოფელ გიორგიწმინდის ტერიტორიაზე თანამედროვე ინფრასტრუქტურის მქონე სასაზღვრო კომპლექსის მშენებლობა იგეგმება, რომელიც 150 სამხედრო მოსამსახურეზე იქნება გათვალისწინებული. სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსის კორნელი სალიას თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები აშშ-ს მხარესთან ზაფხულში გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველო დაინტერესებულია ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების თბილისში მდებარე სამხედრო ჰოსპიტალის გადმოცემით. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქართველო ჰოსპიტალის გადმოცემას ითხოვს, მაგრამ შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის და რუსულ მხარესთან ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე დარწმუნებულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძეს 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების რეალური შანსები აქვს. **"იმ შემთხვევაში, თუ ასლან აბაშიძე მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებს, იგი აუცილებლად გაიმარჯვებს",** – ამბობს ჯემალ გოგიტიძე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი "უსაფუძვლოს" უწოდებს პოლიტიკური ორგანიზაცია "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ლიდერების ბრალდებებს, რომლის თანახმად სამართალდამცავები არ რეაგირებენ "აღორძინების" წევრებზე განხორციელებულ თავდასხმებზე. **"ასეთი განცხადებები მხოლოდ პოლიტიკური მიზნით კეთდება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ "აღორძინების კავშირის" წარმომადგენლებზე თავდასხმის ყველა ფაქტზე მოახდინა რეაგირება",** – აცხადებს მინისტრი. **პრაიმ-ნიუსი**

## "ალორძინებას" ქუჩაში შეურაცხყოფენ და თვითონაც ქუჩისკენ იყურება

პირველი გვერდიდან

ლების მხრიდან განხორციელებულ ძალადობას" არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ადამიანის უფლებათა დამცველებმა, მათ შორის, ომბუდსმენმა ნანა დევდარიანმა, წაუყრუეს. გოგიტიძე მიიჩნევს, რომ არჩევნების მოახლოების კვალობაზე, "აღორძინებაზე" ზეწოლის პროცესი კიდევ უფრო აღმავალი გზით წავა და ამ საფრთხის განეიტრალების საქმეში დახმარებას მასმედიას სთხოვს. ცოტნე ბაკურია კი გაცილებით ჰეროიკულ განწყობაზეა, პათეტიკა დაუფლებია და იქით უღერებს მუშტს ხელისუფლებას.

**"საქართველოს პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის მიერ ქვეყანაში დიდი კატაკლიზმები იგეგმება. ხელისუფლება აპირებს, სისხლიან მორევში გადაუშვას სახელმწიფო, მაგრამ ამას არ დავუშვებთ. ერთ მუშტად შევიკვრებით და ვინმეს თავიდან ერთი ბეწვიც რომ ჩამოუვარდეს, ეს ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება",** - საბრძოლო შემართება არ დაეწუნება "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელიც მოითხოვს, რომ კრიმინალური სიტუაციის გაუარესებისა და "აღორძინების" მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამო, პასუხი შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს მოეთხოვოთ.

ცენტრალური ხელისუფლების მისამართით მკვეთრი განცხადებების გაკეთება არც ჯემალ გოგიტიძისთვის არის უცხო ხილი. **"ეს არის ხელისუფლების მხრიდან ჩვენკენ გადმოგდებული ხელთათმანი და ჩვენც იძულებულნი ვიქნებით, თავი დავიცვათ",** - აცხადებს საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე. იგი ვერ აკონკრეტებს, თუ რა ფორმით მოხდება თავდაცვა, რადგან ეს საკითხი პარტიის შიგნით საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არ არის, თუმცა, გარკვეულ მინიშნებებს მაინც აკეთებს.

**"როდესაც ყველაფერი ყელში ამოგვივა, ჩვენი პროტესტი, შესაძლოა, მასობრივ მანიფესტაციებში გადაიზარდოს",** - ქუჩისკენ იყურება ჯემალ გოგიტიძე.



*"აღორძინების" წევრებს საბრძოლო შემართება არ აკლიათ.*

## "60 წუთს" პრესის საერთაშორისო ინსტიტუტი ესარჩლება

*რამენიმე კვირის წინ "საქართველოს რესპუბლიკაში" უზანესი სასამართლოს განცხადება დაიბეჭდა, სადაც სასამართლო გადაცემა "60 წუთის" წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვდა და გადაცემის თანამშრომლებს კრიმინალებად მოიხსენიებდა. უზენაესი სასამართლოს მიერ "60 წუთის" წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას გუშინ გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია "პრესის საერთაშორისო ინსტიტუტი" გამოეხმაურა. ინსტიტუტის დირექტორმა ჯონათან ფრიტცმა საქართველოს პრეზიდენტს წერილი გამოუგზავნა.*

წერილში პრესის საერთაშორისო ინსტიტუტი შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომელიც მიმართულია ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გადაცემა "60 წუთის" წინააღმდეგ.

**"პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელთ არსებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის 10 მარტს, სამთავრობო გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნა უზენაესი სასამართლოს განცხადება და პროკურატურას "60 წუთის" წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მოუწოდა. აღნიშნული განცხადება მოჰყვა "60 წუთის" 16 თებერვლის გადაცემას, სადაც ფარული კამერის საშუალებით, ნაჩვენები იყო კორუფციაში მხილებული სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც სამსახურიდან დაითხოვეს და შემდეგ კვლავ დააბრუნეს თანამდებობებზე,"** - ნათქვამია წერილში.

პრესის საერთაშორისო ინსტიტუტი შეშფოთებულია, რომ აღნიშნული ქმედება, შესაძლოა, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ თავისუფალი მედიის შევიწროვების კამპანიის ნაწილი იყოს. ინსტიტუტს შეშფოთების საფუძველს აძლევს ისიც, რომ სახელმწიფო მედია რეგულარულად აკრიტიკებს "რუსთავი 2"-ს და ტელეკომპანიას მუშაობა მუდმივი ზეწოლის და დაშინების პირობებში უხდება.

რაც შეეხება სასამართლო ქმედებებს, ინსტიტუტს მიაჩნია, რომ **"სასამართლოს მხრიდან გამოძიების მიმდინარეობისთვის მიმართულების ამგვარი მიცემა აბსოლუტურად მიუღებელია. სასამართლო სისტემა დამყარებული უნდა იყოს გამოძიების რგოლიდან სრული დამოუკიდებლობის პრინციპზე. გამოძიების პროცესში სასამართლოს ასეთი სახით ჩარევა შესაძლო პოლიტიკურ მოტივაციაზე მიანიშნებს.**

**"პრესის საერთაშორისო ინსტიტუტი სთხოვს თქვენს აღმატებულებას, გაერკვეს არსებულ მდგომარეობაში და არ დაუშვას საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და პროკურატურის ანტიკონსტიტუციური ქმედებები.**

**ინსტიტუტი ასევე სთხოვს თქვენს აღმატებულებას, დაადასტუროს კორუფციის ფაქტების გამოვლენაში პრესის უდიდესი როლი. ხოლო იმისათვის, რომ პრესამ საზოგადოებისათვის ეს უმნიშვნელოვანესი მისია შეასრულოს, მას მუშაობაში სრული ჩაურევლობის გარანტია უნდა ჰქონდეს. ინსტიტუტი მოუწოდებს თქვენს აღმატებულებას იმგვარი ხელსაყრელი გარემოს შექმნისაკენ, რომელიც ამ ფუნდამენტური უფლების განხორციელებას უზრუნველყოფს."**

პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორის წერილში დასმულ საკითხებზე კომენტარი ვთხოვეთ გადაცემა "60 წუთის" პროექტის ავტორს აკაკი გოგიჩაიშვილს.

**- სასამართლო ხელისუფლების მიერ გადაცემა "60 წუთის" დევნის ფონზე, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის ის წერილი, რომელიც პრესის საერთაშორისო ინსტიტუტმა საქართველოს პრეზიდენტს გამოუგზავნა?**

- თავისთავად ის ფაქტი, რომ ჩვენს დასაცავად გამოვიდა ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა პრესის საერთაშორისო ინსტიტუტი, ცხადია, ბევრს ნიშნავს. მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული ორგანიზაცია ძალიან პრესტიჟული და გავლენიანია ევროპაში, მოყოლებული გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. განსაკუთრებით საგულისხმოა, თუ რა ფორმით მოხდა გადაცემა "60 წუთის" მხარდაჭერა – მათ წერილი გაუგზავნეს პრეზიდენტს და აღშფოთება გამოთქვეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამო.

**- სასამართლო ხელისუფლება თქვენს გადაცემას აშკარად დაუპირისპირდა. ხომ არ იქონიებს ეს გავლენას თქვენს შემდგომ მუშაობაზე?**

- აქამდე ჩვენ არასოდეს შევხებივართ ისეთ საქმეებს, რომელთაც სასამართლო იხილავდა. ვამბობდით: დავიცადოთ, ვნახოთ, რას გადაწყვეტს მოსამართლე. ბოლო დროს სავსებით ცხადად გამოჩნდა, რომ სასამართლო რეფორმა, რომელზეც ყველა ხმამაღლა საუბრობს, განსაკუთრებით კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სინამდვილეში არ ხორციელდება. რა თქმა უნდა, "60 წუთი" არ აპირებს, ხელი დააფაროს კორუმპირებულ და მექრთამე მოსამართლეებს. ჩვენ აუცილებლად გამოვააშკარავებთ მათ ჩვენს გადაცემებში. პრესის უმთავრეს ფუნქციასაც სწორედ ამაში ვხედავთ. ასე რომ, "60 წუთის" გადაცემები უფრო მწვავე იქნება, ვიდრე აქამდე იყო. ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი საქმის კეთებას და ამაში ხელს ვერავინ შეგვიშლის.

*"24 საათი"*

## კიდევ ერთი მშვიდობის საბჭო

სოფო ბუკია

**"დღევანდელ დღეს საქართველო დგას ძალადობის, ტერორიზმის, სამოქალაქო დაპირისპირების ახალი ტალღის და დემოკრატიული პროცესების ჩახშობის – განსაკუთრებით, შემოდგომის საპარლამენტო არჩევნების ჩაშლის – რეალური საფრთხის წინაშე,"** – ეს გახლავთ ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ომის, ტერორიზმის და ძალადობის მოწინააღმდეგე თხუთმეტამდე არასამთავრობო ორგანიზაცია ახალი ინიციატივით გამოვიდა და მშვიდობის საბჭოს შექმნა გადაწყვიტა. სახალხო დამცველის ოფისში გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე საბჭოს დებულებების პროექტი განიხილეს. დამფუძნებელი შეკრება სამი კვირის შემდეგ შედგება, სადაც მშვიდობის საბჭოს ძირითად დებულებებს ოფიციალურად მიიღებენ. მანამდე კი მშვიდობის საბჭოში შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენლები ერაყის ომის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების ჩატარებასა და ამ პროცესში საზოგადოების ფართო ფენების კონსოლიდაციას აპირებენ.

ახალი "მშვიდობის მტრედები" საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების მხარდაჭერას ისახავენ მიზნად და მოითხოვენ, რომ საქართველო ერაყის ომში არ ჩაერიოს. სახალხო დამცველის ოფისში შეკრებილმა საზოგადოებამ ერთხმად დაგმო ბუშის პოლიტიკა. **"მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სადამის მხარდამჭერთა კლუბს ვაარსებთ, უბრალოდ, ჩვენ ყოველგვარი ომის წინააღმდეგ გამოვდივართ,"** – აცხადებს კონფლიქტოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი გოგი ხუციშვილი. მისი თქმით, საქართველოში ძალიან პრიმიტიულად აღიქვამენ ერაყის პრობლემას და მიაჩნიათ, რომ თუ ბუში არ მოგწონს, ე.ი. რუსეთის მხარეზე ხარ. ხუციშვილის თქმით, ომის მოწინააღმდეგე ქვეყნების ჩამოთვლისას, რუსეთის ხსენება საფრანგეთისა და გერმანიის გვერდით დაუშვებელია, რადგან რუსეთს ამ შემთხვევაში სულ სხვა ინტერესები ამოძრავებს, ვიდრე, ვთქვათ, გერმანიას.



*"მშვიდობის მტრედები"*

განსხვავებული აზრის აღმოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაცია "დიდი დიღომის" ხელმძღვანელი ავთო იმნაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ერაყის შემთხვევაში, ყოველგვარი სამშვიდობო გზა უკვე ამოწურულია და ბუშისა და ომის კრიტიკა აუცილებლად რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

როგორც საბჭოს წევრები აცხადებენ, გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანად მოგვარების საქმეშიც და უკვე მომზადებულია რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც დამატებით მუშაობას საჭიროებს.

როგორც გუშინ ითქვა, ანალოგიური ტიპის სამშვიდობო, საკოორდინაციო ცენტრი საქართველოში ადრეც - თბილისის ომის დროს არსებობდა, თუმცა მალევე დაიშალა. მოგვიანებით, "მშვიდობის საბჭოს" შექმნა 1997 წელს გადაწყვიტეს, თუმცა ვერც ამ წამოწყებამ გაამართლა. რეანიმირებული "მშვიდობის მტრედები," რატომღაც, დარწმუნებულები არიან, რომ წინამორბედთა ბედს არ გაიზიარებენ და ზეთისხილის რტოს დანიშნულების ადგილამდე სწორედ ისინი მიიტანენ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ქურთები და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ბრძოლებში ჩაერთვნენ

პირველი გვერდიდან

## სამხრეთის ფრონტებზე ბრძოლა გრძელდება

ვიდრე ვაშინგტონში ბაღდადზე შტურმის დაწყების საკითხს გადაწყვეტენ, სამხრეთ ერაყში, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა უცვლელია. კვლავ გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ბასრაში, ნასირიასა და ნაჯაფში. ამასთანავე, გუშინ მოკავშირეთა ავიაციის მიერ ბაღდადის ინტენსიური დაბომბვა გრძელდებოდა. ზოგიერთი მონაცემებით, ერაყის ინფორმაციის სამინისტრო თითქმის მთლიანად არის განადგურებული. ასევე, გუშინ დილით ბაღდადის ერთ-ერთ ბაზარში ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. ერაყის ხელისუფლების განცხადებით, აქ ჩამოგდებულმა ბომბმა ორმოცდაათი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. ოფიციალური ბაღდადი ირწმუნება, რომ ბაზარში ფრთოსანი რაკეტა "ტომაჰავკა" ჩამოვარდა, რომელიც სპარსეთის ყურეში განლაგებული ერთ-ერთი სამხედრო გემიდან იყო გაშვებული. თუმცა, კოალიციის სამხედრო სარდლობის შტაბში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. აშშ-ს არმიის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ დეტალური გამოძიება დაიწყება.

დედაქალაქის პარალელურად, დაიბომბა ალყაშემორტყმული ქალაქი ბასრა. ანტიერაყულმა კოალიციამ საჰაერო დარტყმები ბასრაში განლაგებულ ერაყის სამხედრო ობიექტებზე განახორციელა. ამის პარალელურად, აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალებმა სწორედ ის შენობა დაბომბეს, სადაც ერაყის ხელისუფლების ორასკაციანი საგანგებო თათბირი მიმდინარეობდა. კოალიციის სარდლობის ინფორმაციით, შენობაში მყოფი თითქმის ყველა ადამიანი დაიღუპა.

ამავდროულად, ბრიტანელმა სამხედროებმა, ბასრასთან ახლოს, ერაყელებისათვის საკვების დარიგება დაიწყეს.

## ჩრდილოეთის ფრონტი - ქურთები შეტევაზე გადავიდნენ

მას შემდეგ, რაც აშშ-მ ჩრდილოეთ ერაყში პირველი ათასკაციანი დესანტი გადასხა, სადამის მოწინააღმდეგე


ბაღდადში თავდაცვისთვის ყველა ემზადება.
REUTERS

ქურთი მებრძოლები ბრძოლაში ჩაერთვნენ. გუშინ გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ქურთული შეიარაღებული ფორმირების "პეშმერგის" მებრძოლებმა ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყში მოქმედი ისლამური დაჯგუფების "ანსარ ალ-ისლამის" შტაბ-ბინა დაიკავეს. ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში 5 ათასი ქურთი მებრძოლი მონაწილეობდა. ქურთისტანის პატრიოტული კავშირის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოპერაციის დროს "ანსარ ალ-ისლამის" 70-ზე მეტი წევრი განადგურდა. გადარჩენილმა ისლამისტებმა კი მთებში გაქცევა მოახერხეს. ისინი ამჟამად ირანის საზღვართან არიან გამაგრებულები. ქურთი მებრძოლები აცხადებენ, რომ მათ წინააღმდეგ ოპერაციები იქამდე გაგრძელდება, ვიდრე რეგიონი ისლამისტებისგან არ იქნება გაწმენდილი.

როგორც ჩანს, ქურთები ამ წარმატებით არ კმაყოფილდებიან. მათ დაიკავეს ქალაქი ჩემჩემალი, რომელიც ქალაქ კირკუკიდან აღმოსავლეთით, 35 კილომეტრში მდებარეობს. ერაყელმა მებრძოლებმა ჩემჩემალი ბრძოლით დატოვეს და კირკუკისკენ დაიხიეს, სადაც საბრძოლო პოზიციები გაამაგრეს. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, ერაყელებმა ორგანიზებული უკანდახევა განახორციელეს, თუმცა მათ საკმაო რაოდენობის შეიარაღება და საბრძოლო მასალები ადგილზე დატოვეს.

სავარაუდოა, რომ ჩრდილოეთ ფრონტზე ყველაზე მძიმე ბრძოლა ქალაქ კირკუკისათვის გაიმართება. როგორც ცნობილია, კირკუკის რაიონში უმდიდრესი ნავთობსაბადოებია თავმოყრილი, რომელთა გაკონტროლებასაც მოკავშირეებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

## პირველი კამიკაძე

გუშინ ქალაქ ნაჯაფში ერაყელმა თვითმკვლელმა თავი აიფეთქა. მასთან ერთად კი სამი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. ეს ინფორმაცია კოალიციის სამხედრო სარდლობის შტაბშიც დაადასტურეს. როგორც ცნობილი გახდა, კამიკაძე ნაჯაფის შესასვლელთან საკონტროლო-გამშვებ პუნქტს მიუახლოვდა, მანქანა გააჩერა და იქვე მდგარ ჯარისკაცებს დახმარება სთხოვა. აფეთქების ხმა მაშინ გაისმა, როცა მის მანქანას სამი ამერიკელი სამხედრო პირი მიუახლოვდა. ყველა ადგილზე გარდაიცვალა. თავდაპირველად 5 დაღუპული ამერიკელის შესახებ იუწყებოდნენ, მაგრამ მოგვიანებით დადასტურდა, რომ კამიკაძის ქმედებას მხოლოდ სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ომის დაწყების შემთხვევაში, ათასობით მუსულმანი კამიკაძე თავგანწირვისათვის მზად არის.

## ცსს-მ ერაყში მოქმედება დაიწყო

"ვაშინგტონ პოსტი" აშშ-ს ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ერაყის ქალაქებში, უკვე ერთი კვირაა, რაც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) ელიტარულმა რაზმებმა მოქმედება დაიწყეს. მათ ამოცანას ერაყის ხელისუფლების წევრებისა და რესპუბლიკური გვარდიის სარდლების ლიკვიდაცია წარმოადგენს. ცსს-ს სპეცრაზმები პროფესიონალი სნაიპერებისა და გამოცდილი დივერსანტებისგან არის დაკომპლექტებული.

თავად ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ცენტრში — ლენგლიში, ამ ფაქტის კომენტირებაზე უარი განაცხადეს. ხოლო აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ვიქტორია კლარკი მხოლოდ შემდეგი კომენტარით შემოიფარგლა: **"როგორც ვამბობდით, ჩვენი სპეცრაზმი მოქმედებს ერაყის ჩრდილოეთში, დასავლეთსა და სამხრეთში."**

ცნობილია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სპეცრაზმი კონფლიქტებში მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის დროს ერთვება. თუკი ეს ფაქტი სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ცხადია, რომ ვაშინგტონს ერაყის ომის რაც შეიძლება მალე დასრულება სურს. ამის მიღწევის უმოკლეს გზას კი, ერაყის ლიდერების ლიკვიდაცია წარმოადგენს.

# რამ აიძულა რიჩარდ პერლი, გადამდგარიყო

პირველი გვერდიდან

რადგანაც ეს იყო სრულმეტატანი სამთავრობო სამსახური და ამით ხელი შეეშლებოდა მის არასამთავრობო და კომერციულ საქმიანობას, მათ შორის მის მოღვაწეობას American Enterprise Institute-ში (ვაშინგტონის გავლენიანი თინქ-თენქი). თავდაცვის პოლიტიკის სათათბირო საბჭოს განსაკუთრებული ფუნქცია განაპირობებს იმას, რომ სამთავრობო მოხელეთათვის შემუშავებული პირადი ინფორმაციის გახსნის წესები, არ ვრცელდება პერლზე. ასევე, პენტაგონში არც მისი ავტორიტეტი ემყარებოდა მის თანამდებობრივ სტატუსს, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პერლი იყო არა მოხელე, არამედ - ბუშის ადმინისტრაციის მრავალ წევრთან, მათ შორის რამსფელდთან და თავდაცვის მდივნის მოადგილე პოლ ვოლფოვიცთან, დაახლოებული ადამიანი. აქედან გამომდინარე, მისი კონტაქტები აშშ-ს ადმინისტრაციასთან უეჭველად გაგრძელდება, მაშინაც კი, როცა პერლი აღარ იქნება საბჭოს თავმჯდომარე. ცნობილია, რომ მისი ხშირი, ე.წ. "ქორის" სტილის განცხადები, ბევრად უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ადმინისტრაციისა. მისი გამოსვლები თავისუფლად მზადდებოდა მედიასა და საზოგადოებაში მის აღსაქმელად, რაც შემდგომში იქცეოდა ოფიციალურ პოზიციად.

ცნობილია, რომ პერლი იყო პრეზიდენტ ბუშის ახლო-აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი შემოქმედი და დემოკრატიული ერაყის მხურვალე ქომაგი. სწორედ ამით იწვევდა იგი მემარცხენე დემოკრატთა გულისწყრომას, რომლებიც ებრძვიან პერლისეულ ნეოკონსერვატულ თვალთახედვას, რის მიხედვითაც, ამერიკამ თავისუფლება და დემოკრატია უნდა დაიცვას ყველგან. დემოკრატ მემარცხენეებს პერლი თვალში ვერ მოსდიოდათ, რადგანაც, დემოკრატ ნეოკონსერვატორთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, იგი არ გადავიდა რესპუბლიკელთა ბანაკში და დარჩა დემოკრატად, თავისი ყოფილი ბოსის, სენატორ ჯექსონისადმი პატივისცემის ნიშნად.

"Global Crossing"-ის ამბავმა ხელები გაუხსნა დემოკრატ მემარცხენეებს და მისცა მათ პერლისათვის პროვოკაციის მოწყობისა და ბუშის ადმინისტრაციის შეურიგებელ ფრთაზე თავდასხმის მცდელობის საბაბი.

პერლის ბრალდების მოთავე იყო ჯონ ქონიერსი - ყველაზე მემრაცხენე კონგრესმენი დემოკრატიულ პარტიაში. იგი ვაშინგტონში აღიარებულია ანტიკონსერვატორთა შემტევ "ძაღლად", რომელიც კონსერვატულ პლატფორმაზე მდგომ ადამიანებზე თავდასხმის ყველა შესაძლებლობას იყენებს. ქონიერსი, წარმომადგენელთა პალატის იურიდიული კომიტეტის დემოკრატთაგან უმთავრესი, პრეზიდენტ ბილ ქლინთონის თავგამოდებული დამცველი გახლდათ მონიკა ლევინსკის სკანდალის დროს. ქონიერსის ლოგიკით, მექალთანე ქლინთონს არაფერი დაუშავებია, როდესაც იცრუა, ფიცი გატეხა, თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მრუშობდა და ა.შ. ხოლო, რიჩარდ პერლი, როემლიც არც კი იდგა სამთავარობო სამსახურში, დამნაშავეა, რადგანაც არ გაამჟღავნა ის, რის განცხადებასაც მას კანონი არ ავალდებულებდა!

რიჩარად პერლმა მართლაც დაუშვა ერთი შეცდომა. წერილში "Global Crossing"- სადმი, რომელიც მის მიერაა ხელმოწერილი, იგი საკუთარ პოზიციას თავდაცვის პოლიტიკის


რიჩარდ პერლი

საბჭოში ეროვნულ აქტივად მოისხენიებს. კერძოდ იმ ადგილას, სადაც საქმე ეხება კომპანიის გაყიდვისათვის აუცილებელი სამთავრობო ნებართვის მიღების პროცესს, ნათქვამია: "როგორც თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს თავმჯდომარეს, მე გამაჩნია ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების იმ საკითხების უნიკალური ხედვა და ცოდნა, რომლებიც წინ წამოიჭრება ამ პროცესის დროს". ყველამ, ვინც ვაშინგტონის სახელისუფლებო ტექნოლოგიებს იცნობს, იცის, რომ პერლი, საბჭოს თავმჯდომარის სტატუსის გარეშეც, სერიოზული ძალა იქნებოდა "Global Crossing"-თვის. როგორც აღინიშნა, პერლის გავლენა მომდინარეობს არა მისი ტიტულიდან, არამედ იმ მეგობრული ურთიერთობებიდან, რომელიც მას უმთავრეს კანონშემოქმედ და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან აკავშირებს; გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილია მისი სიმტკიცე და უნარი, ნებისმიერ ვითარებაში თქვას სიმართლე.

საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომის განცხდებაში პერლი მიმართავს რამსფელდს: "მე ადრეც შევხვედრივარ მსგავს წინააღმდეგობებს და ვიცი, რომ ეს შემთხვევა აუცილებლად მოგაცდენთ და ამით ხელი შეეშლება იმ უმთავრეს მისიას, რომელიც დღეს გაკისრიათ. მე ვერ დავუშვებ თქვენს მცირე მოცდენასაც კი. მე არ შემიძლია, სწრაფად და იოლად ჩავახშო ჩემი მოქმედების არასწორ შეფასებაზე დამყარებული კრიტიკის ტალღა, მე ისღა დამრჩენია, გთხოვოთ, დამრთოთ ნება, გადავდგე თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს თავმჯდომარეობიდან". გარდა ამისა, პერლმა უარი თქვა ყველა სახის ანაზღაურებაზე კომპანია "Global Crossing"-ის მხრიდან; უფრო მეტიც, როგორც გვაუწყებს "New York Times"-ი, მან გადაწყვიტა, გადასცეს უკვე მიღებული ანაზღაურება "ერაყში დაღუპულ თუ დაჭრილ ამერიკელ ჯარისკაცთა ოჯახებს."

მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ რიჩარდ პერლის სახელი პოლიტიკაში კვლავაც გაიჟღერებს, რადგან უდავოა, რომ იგი კვლავაც გააგრძელებს ბრძოლას დემოკრატიის დასაცავად მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც, რომლის მიმართაც ყოველთვის კეთილგანწყობით იყო გამსჭვალული.

# კოჩარიანი ძალაუფლების შეკვეცას არ დაუშვებს

სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პირვანდელი პროექტი შეცვალა, რომელიც საპრეზიდენტო ძალაუფლების გარკვეულ შეკვეცას გულისხმობდა.

გასულ წელს, კონსტიტუციური რეფორმის საწყის ეტაპზე კოჩარიანმა პარლამენტს იმგვარი მოდელი შესთავაზა, სადაც პრეზიდენტის წარდგენის შემდეგ, პრემიერ-მინისტრს პარლამენტი ამტკიცებს. სომხეთის ამჟამინდელი კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტი ნიშნავს და მასვე შეუძლია მისი დათხოვნა.

კოჩარინის ადმინისტრაციის მიერ ეროვნული ასამბლეისათვის (სომხეთის პარლამენტი) წარდგენილმა პროექტის საბოლოო ვარიანტმა ცვლილებები განიცადა. ახლა, მთავრობის ჩამოყალიბების არსებული მექანიზმი, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩება. პრეზიდენტის მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით, სომხეთის პრემიერსა და კაბინეტის წევრებს კვლავ პრეზიდენტი დანიშნავს. პრეზიდენტმა კაბინეტი უნდა დაითხოვოს, თუ ეროვნული ასამბლეა მთავრობის პოლიტიკის მხარდაჭერაზე უარს განაცხადებს.

1995 წელს, ლევონ ტერ-პეტროსიანის დროს მიღებული კონსტიტუცია საკანონმდებლო ხელისუფლებას მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების უფლებას ისედაც აძლევს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტისათვის ზედმეტად დიდი უფლებების მინიჭების გამო, სომხეთის კონსტიტუციას, დიდი ხანია, აკრიტიკებენ. ქვეყნის მეთაურს პარლამენტის დაშლა და მოსამართლეების დათხოვა, ფაქტობრივად, საკუთარი ნება-სურვილით შეუძლია. ექსპერტების თქმით, სისტემა ხელისუფლების შტოების ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპს არ ითვალისწინებს.

სომხეთის ოპოზიციურმა პარტიებმა შემოთავაზებულ ცვლილებებს "კოსმეტიკური" უწოდეს და მკაცრად გააკრიტიკეს.

კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების განხილვა მომავალ კვირას დაიწყება. კოჩარიანს ეროვნული ასამბლეის დასტური ესაჭიროება, რათა აღნიშნული ცვლილებები მაისში რეფერენდუმზე გაიტანოს.

# თვითმფრინავის გატაცება მშვიდობიანად დასრულდა

თურქული თვითმფრინავის გამტაცებელი გუშინ ათენის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს, ხოლო მგზავრები და თვითმფრინავის ეკიპაჟი უვნებლად გაათავისუფლეს.

მგზავრები თვითმფრინავიდან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გამოუშვეს. მოლაპარაკებებს თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ერდოგანი და საბერძნეთის ხელისუფლება აწარმოებდა.

თურქი და ბერძენი სამართალდამცველების თქმით, 20 წლის თურქ გამტაცებელს, სავარაუდოდ, ოჯახური პრობლემების გამო, ნერვული აშლილობა ჰქონდა. პოლიციამ თვითმფრინავში ასაფეთქებელი მოწყობილობა ან იარაღი ვერ აღმოაჩინა. გატაცებისთანავე გაჩნდა ცნობა, რომ გამტაცებელს თან ბომბი ჰქონდა. გამტაცებელმა შიდა რეისის შესრულებისას თვითმფრინავის ეკიპაჟი აიძულა, გერმანიისაკენ აეღო გეზი. თვითმფრინავი, საწვავის მარაგის შესავსებად, საბერძნეთში შეჩერდა. ყველა მგზავრის გამოშვების შემდეგ, გამტაცებელს პილოტების დატოვება სურდა, მაგრამ საბოლოოდ ჩაბარება გადაწყვიტა. "იგი დაიჭირეს. პილოტები თავისუფლები არიან", - განუცხადა საბერძნეთის პოლიციის წარმომადგენელმა ოპერაციის დასრულებისთანავე "როიტერის" სააგენტოს.

დაკავებულმა ოზგურ გენკასლასმა ორი დღის წინ, შუაღამისას, აერობუსი გაიტაცა, რომელიც სტამბოლი-ანკარას რეისს ასრულებდა. საბერძნეთის ხელისუფლების ცნობით, გატაცების ღამეს თვითმფრინავმა საწვავის შევსება ითხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. გერმანიის სადისპეტჩერო სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გატაცებული თვითმფრინავის "დიუსელდორფში ან ბერლინში მიღების" თაობაზე თხოვნა მიიღეს.

გატაცებულ თვითმფრინავში 205 ადამიანი იმყოფებოდა – 196 მგზავრი და ეკიპაჟის 9 წევრი. მგზავრთა შორის იყვნენ მმართველი პარტიის ორი წევრი და საპარლამენტო ოპოზიციის ერთი წარმომადგენელი. თურქეთის პოლიციის თქმით, 20 წლის თურქ გამტაცებელს გერმანიაში ჩასვლა და მამამისთან შეხვედრა უნდოდა მას შემდეგ, რაც შელაპარაკება მოუვიდა მამინაცვალთან, რომელიც დედისა და დის ნახვის საშუალებას არ აძლევდა. პოლიციის აზრით, ოზგურ გენკასლასი არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებული არ არის. გამტაცებელს თან ხუთი სანთელი მიჰქონდა, რომელიც ასაფეთქებელი მექანიზმის იმიტირებისათვის გამოიყენა.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, გათავისუფლებულ მგზავრთა უკანვე დასაბრუნებლად, თურქებმა ათენში თვითმფრინავი გააგზავნეს.

# ისევ აქ ვართ, ამ შეშლილ, შეშლილ, შეშლილ მსოფლიოში

პირველი გვერდიდან

რიკული ჯარი ბაღდადში თავზეხელაღებული შტურმით შეჭრას არ აპირებს. გენერლის სიტყვებით, ისინი ჯერ დინჯად დაზვერავენ იქაურობას, რათა სადამ ჰუსეინის ადგილსამყოფელი და მისი მთავარი თანაშემწეების (მათი, ვინც სადამის რეჟიმს იცავს - გეოუშიშროების აპარატი და რესპუბლიკური გვარდია) დისლოკაციის ადგილი დაადგინონ. ამერიკელები იმედოვნებენ, რომ ამის შესახებ ცნობებს ბაღდადის იმ მოქალაქეებს დასტყუებენ, ვისაც სადამის რეჟიმი გულზე არ ეხატება. "ასეთი ტაქტიკის მიზანი ისაა, რომ ქუჩებში თითოეული სახლისთვის გამართული ხელჩართული ბრძოლები ავიცილოთ. ეს ორივე მხარეს დიდ მსხვერპლს მოუტანს. ამის ნაცვლად, ამერიკული სარდლობა გეგმავს, კოლონები დარაზმოს და გამჭოლი დარტყმები მიაყენოს სამხედრო მეთაურთა ცენტრებს. ამ კოლონებს წინ წაუძღვებიან საინჟინრო ნაწილები, რომლებიც გზას ბარიკადებისგან და სხვა წინაღობებისგან გაწმენდენ. მათ ხელყუმბარებით, ნაღმმტყორცნი და ტანკსაწინააღმდეგო იარაღით აღჭურვილი ქვეითები მიჰყვებიან. კოლონების საჰაერო დაცვას უზრუნველყოფენ "აპაჩის" ვერტმფრენები, რომლებიც "ჰელფაიერის" ("ჯოჯოხეთური ცეცხლი") რაკეტებით იქნებიან შეიარაღებული". ბაღდადის აღების სურათს რომ ხატავდა, გენერალმა უოლესმა დასძინა: "თუ ბაღდადსა და მის შემოგარენში ბრძოლები გაჩაღდა, უდიდეს მოთმინებას გამოვიჩენთ, შეტაკებებისთვის რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები რომ შევქმნათ. ეს კი, ჩემი აზრით, სამხედრო-საჰაერო ძალების, ავიაციის, მსუბუქ ქვეითთა, ჯავშანმანქანებისა და მესანგრეთა ნაწილების ერთ მუშტად შეკვრას ნიშნავს, რათა სპეციფიკურ ობიექტებს სპეციფიკური მიზნებით შევუტიოთ".

მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდაო... საკითხავია, მოახერხებს კი ამერიკის ჯარი რესპუბლიკის გვარდიის წინააღმდეგობის გატეხვას, ან მორალურად მათ დათრგუნვას, ისე, რომ კაპიტულაცია აიძულოს?! ამჯერად ამერიკული ავიაცია იმ ერაყულ ქვედანაყოფებს უტევს, რომლებიც ბაღდადის დაცვის გარე ალყას ქმნიან. ჯერჯერობით ამერიკელები იმაზე ზრუნავენ, რომ ეს ერაყული ქვედანაყოფები ბაღდადის შიდა რაიონებისკენ არ დაიძრან და ამას ქუჩებში სისხლისღვრა არ მოჰყვეს. სწორედ ამ მიზნით, მე-11 სავერტმფრენო პოლკის "აპაჩები" ბოლო დღეებში გამუდმებით თავს დასტრიალებენ რესპუბლიკური გვარდიის დივიზია "მედინას". ბუნებრივია, ერაყული მხარეც არაა გულხელდაკრეფილი - ბაღდადისკენ დაძრულ კოლონებს თავს ესხმის, გააფთრებულ არიერგარდულ ბრძოლას ეწევა და ცდილობს, ბაღდადის თავზე შემართული მუშტი ოდნავ მაინც მოადუნოს. მაგრამ ძალების თანაფარდობა დრამატულია. ერაყის ჯარი რაოდენობრივადაც ჩამორჩება "კოალიციისას". ტექნიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია - ცა და დედამიწაა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. ცა მთლიანად ამერიკელებს უპყრიათ. ერაყის სამას სამხედრო თვითმფრინავს კი ამ ომის დღეებში ჯერ არც ერთი გაფრენა არ განუხორციელებია - მიწას არ მოშორებიან.

ომის, როგორც ასეთის, მიღმა, არანაკლებ მძვინვარებს ფსიქოლოგიური ომიც. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ამერიკული ავიაცია, რომელიც ასეთი სიმძლავრით უტევს ბაღდადს, ამ ქალაქის ტელევიზიას "ინდობს". პენტაგონში კარგად იციან, რომ ერაყის სამხედრო ხელმძღვანელობა გაფაციცებით ადევნებს თვალს სი-ენ-ენ-ის, ალ-ჯაზირასა და სხვა არხების მიერ გადაცემულ საომარ მოქმედებებს. პენტაგონი სულ ცდილობს, რადიოთი, მობილური ტელეფონებით ან ელექტროფოსტით მუდმივი კონტაქტი იქონიოს ერაყელ გენერლებთან; მათ, დაახლოებით, ასეთი შინაარსის მესიჯებს უგზავნიან: ჩვენ დამთრგუნველი უპირატესობა გვაქვს; წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ აქვს. სჯობს, დაგვნებდეთ!

რით შეუძლია ერაყს, უპასუხოს ამ ყველაფერს? - ძირითადად, ჰუსეინის ტელესურათებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ სადამი ცოცხალია და "ჯანზეა". უჩვენებენ მოკლულ და ტყვედ აყვანილ ამერიკელ ჯარისკაცებს. უჩვენებენ უპილოტო თვითმფრინავებს, მაგრამ ეს პროპაგანდა აშშ-ს და, მით უმეტეს, პენტაგონს არ ეძლევა. ამ გადაცემების აუდიტორია ეგრეთ წოდებული "არაბული ქუჩაა". სადამ ჰუსეინი თანამემამულეებს მოუწოდებს, "ჯოჯოხეთი" მოუწყონ ამერიკელებს, მაშინ, როცა ამერიკელები თავად უწყობენ ერაყელებს ჯოჯოხეთს, თანაც ნამდვილს - ბრჭყალების გარეშე. აქაც არათანაბარია ძალები. ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა, ტახი იასირ რამადანმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ტელევიზიით თავის წინადადება, - შეწყდეს საყოველთაო სისხლისღვრა და საქმე სადამ ჰუსეინისა და ჯორჯ ბუშის დუელით გადაწყდესო. ამ მოწოდებამ "არაბულ ქუჩაზე," შეიძლება, ხმაურიანად გაიჟღეროს, მაგრამ პენსილვანია-ავენიუზე, ვაშინგტონში, თეთრი სახლის წარმომადგენლებს მხოლოდ სიცილს ჰგვრის. ერაყის პრემიერ-მინისტრმა, ტორიკ აზიზმა, ასევე ტელევიზიით, ერაყში მიიპატიჟა ბრიტანელი პრემიერი ტონი ბლერი და აშშ-ს კონგრესის ლიდერები, რათა ამ უკანასკნელებმა საკუთარი თვალით ნახონ, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი არ გააჩნია. ალბათ, ლონდონში, ფაუნინგ-სტრიტზე და ვაშინგტონის კაპიტოლიუმში ამ მიწვევასაც მასხრად აიგდებენ. მაგრამ ეს სულაც არ იძლევა ნაჩქარევი დასკვნის საფუძველს, რომ რამადანი და აზიზი, მაპატიეთ და, აბსოლუტური იდიოტები არიან. ეს ბატონები, როცა "არაბულ ქუჩას" მიმართავენ, რომელთან შედარებითაც ერაყი მხოლოდ პაწაწინა ჩიხია, ამით "დიდი სატანის" "მრისხანების მტევნებს" მოუხმობენ. "არაბულ ქუჩებს" ისინი იმისთვის ამზადებენ, რომ საკუთარ ხიდებზე "აბრაამსის" ტანკების გრუხუნი არ დაუშვან და თავიანთი ტროტუარები ამერიკელ ჯარისკაცებს არ გაათელინონ.

სამშაბათს, 25 მარტს პრეზიდენტი ბუში პენტაგონში სიტყვით გამოვიდა და კიდევ ერთხელ მოსთხოვა კონგრესს ერაყის ომისთვის 75 მილიარდი დოლარის გამოყოფა. აშშ-ში ჩასულმა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ორი დღე, ბუშთან ერთად, კემპ-დევიდში გაატარა. მას შეხვედრა აქვს დანიშნული, ასევე, გაერო-ს გენერალურ მდივანთან კოფი ანანთან. საუდის არაბეთის მთავრობამ ვაშინგტონსა და ბაღდადს ურთიერთდაზავების წინადადებით მიმართა, მაგრამ ეს უდაბნოში მღაღადებლის ხმა უფრო იყო - ასეთი დემარშით საუდის სამეფო ოჯახი მხოლოდ ამერიკელებისგან დაკოცნილი პირის მოწმენდას ცდილობს. პენტაგონის შეფმა, რამსფელდმა ისევ გაამდიდრა მწერალ ჯორჯ ორუელის ლექსიკონი, რომლის რომანის ("1984") პერსონაჟები ირწმუნებოდნენ, რომ "ომი - მშვიდობაა". რამსფელდმა კი თქვა: "ომი ჰუმანიზმის აქტია". მისმა ხელქვეითმა, გენერალმა რენუარმა თავისი უფროსის აზრი შემდეგნაირად გამოთქვა: "ომში შავ ძალებს შავი დღე ადგებათ". მათ არ ეთანხმება სინდი კასტელო, 23 წლის ლათინური წარმოშობის ამერიკელი ლამაზმანი, რომელიც ეს-ესაა ახალი "მის იუ-ეს-ეი" გახდა.

სრულიად განსხვავებულ, თავის გადარჩენის კონკურსში მონაწილე სადამ ჰუსეინმა ყველა ერაყელ ტომსა და კლანს მოუწოდა დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ირწმუნებიან, რომ სადამი თავის ბრძანებებს ძველმოდური მეთოდით - კურიერების ხელით აგზავნის. ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ კავშირი გაწყვეტილია, უბრალოდ, არ ენდობა, ფრთხილობს – იცის, რომ ამ კავშირს ამერიკული ყურები უსმენენ, რომლებმაც, შეიძლება, მისი ადგილსამყოფელიც დაადგინონ. ამერიკელების მონაცემებით, სადამ ჰუსეინი იმალება ჭკვიანი გერმანელების მიერ აშენებულ ბუნკერში, რომელიც ბერლინში, რეიხსკანცელარიის ქვეშ აგებული ჰიტლერის ბუნკერის ასლს წარმოადგენს. იმავე მონაცემებით, ბაღდადელი დიქტატორის სააბაზანო ოთახი ძვირფასი მარმარილოთია მოპირკეთებული, ონკანები კი ოქროსია. ვერ გეტყვით, რა სიმართლეა და რა გამონაგონი. უფრო პროპაგანდას ჰგავს - ფსიქოლოგიურ ომს, ანუ თქვენ, ბაღდადის უბრალო მოსახლეობა, ჩვენი ბომბების ქვეშ იხოცებით, თქვენი ლიდერი კი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ოქროში ცურავს (მეორე მსოფლიო ომის წლებში ანალოგიური როლი შეასრულა ოქროს აბაზანამ, რომელშიც, როგორც ამბობდნენ, გერინგი ნებივრობდა. ვლადიმირ ილიჩი კი გვასწავლიდა - კომუნიზმის დროს უნიტაზები ოქროსი იქნებაო, არადა აღმოჩნდა, რომ ასე ფაშიზმის დროს და მის მსგავს ეპოქებში ყოფილა).

რამშტეინის ჰოსპიტალში (გერმანია) სულ ახალ-ახალი დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცები მიჰყავთ. ამერიკის ქალაქ დუვრში პირველად ჩაიტანეს ორი მოკლული ჯარისკაცის გვამი. მე დუვრში ნამყოფი ვარ - ვიეტნამის ომის წლებში. მაშინ იქ საშინელი "გადამტვირთი პუნქტი" იყო მოწყობილი. იქ ვიეტნამის ჯუნგლებში დახოცილი ჯარისკაცების გვამები შავ და ყავისფერ პლასტიკურ ტომრებში გახვეულები ჩამოჰქონდათ; შემდეგ მთელ ამერიკაში ანაწილებდნენ შესაბამის ფურცლებზე მითითებულ მისამართებზე. იმ ფურცლებს "სიკვდილის ბარათს" ეძახდნენ.

პენტაგონმა ერაყში მებრძოლი ჯარისკაცებისთვის ახლობლებთან სასაუბროდ უფასო სატელეფონო ხაზი გახსნა. თვით ერაყელებს კი ბუშმა ასე უთხრა: "თქვენ სულ მალე დარწმუნდებით ჩვენს თანაგრძნობაში" (ისევ ციტატაა!). მაგრამ ჯერჯერობით ეს თანაგრძნობა მხოლოდ კომპანია "ჰალიბარტონს" ეხება, რომლის ხელმძღვანელიც ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი გახლდათ და, რომელსაც (კომპანიას) უკვე დავალებული აქვს, ერაყში ნავთობის მრეწველობის აღდგენა (მშვიდობით, "ლუკოილ"!).

ერაყში ქვიშის ქარბუქი მძვინვარებს.

- სად ვართ?

- ისევ ამ შეშლილ, შეშლილ, შეშლილ მსოფლიოში.

ეკონომიკა

# თბილისი, შესაძლოა, წყლის ალტერნატიული მომარაგების გარეშე დარჩეს

*ქართველ ექსპერტთა და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ჯგუფი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის წალკის წყალსაცავთან ახლოს გატარების წინააღმდეგია. ისინი აცხადებენ, რომ ნავთობის დაღვრის შემთხვევაში, დაბინძურდება წყლის მარაგი, რომელსაც თბილისის ალტერნატიული წყალმომარაგებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. "ბრითიშ პეტროლეუმის" საქართველოს წარმომადგენლობის გენერალური მენეჯერი ედ ჯონსონი კი აცხადებს, რომ არსებული მარშრუტი მსოფლიოს საუკეთესო ექსპერტთა მიერაა შესწავლილი და იგი ყველაზე უსაფრთხო და მოსახერხებელია.*

სოფო კვინტრაძე

წალკის წყალსაცავი, რომელიც თბილისიდან, დაახლოებით, 100 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, ამჟამად ჰიდროელექტროსადგურების "ხრამი 1-სა" და "ხრამი 2-ის" ასამუშავებლად გამოიყენება. თბილისის წყალმომარაგებისათვის მისი გამოყენების საკითხი ჯერ კიდევ 80-იან წლებში დადგა, როდესაც დედაქალაქში მოსახლეობამ მილიონს გადააჭარბა და, შესაბამისად, წყლის მოხმარებაც გაიზარდა. როგორც ცნობილია, ამჟამად, თბილისი სასმელი წყლით ბულაჩაურის, ნატახტრისა და ჟინვალის წყალსაცავებიდან და თბილისის ზღვიდან მარაგდება. რუსთავის წყალმომარაგებაც ამავე რესურსებით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რესურსები ამ ორი ქალაქისათვის საკმარისია, თბილისის ცალკეულ უბნებსა და რუსთავს წყალი ჯერ კიდევ გრაფიკის მიხედვით მიეწოდებათ. ამის მიზეზი, ნაწილობრივ, გახლავთ ის, რომ თბილისსა და რუსთავში წყალმომარა- [illegible] თითოეულ მოსახლეზე დღე-ღამეში 800-1000 ლიტრი წყალი იხარჯება.

არასამთავრობო ორგანიზაცია "მოძრაობა ღირსეული მომავლისათვის" წარმომადგენელი ზურაბ ბოკუჩავა მიიჩნევს, [illegible] ამიტომ [illegible] ორგანიზაცია "ეროვნული სათათბიროს" წარმომადგენელი, გეოლოგი რამაზ ღამბაშიძე აცხადებს, ნავთობსადენის წალკის წყალსაცავთან ჩრდილოეთით 15 კილომეტრზე უნდა გადაინაცვლოს, რათა წყლის დაბინძურების ყოველგვარი რისკი გამორიცხოს და ამით, თბილისის ალტერნატიულ წყალმომარაგებასაც საფრთხე აღარ დაემუქროს. რამაზ ღამბაშიძის თქმით, წალკიდან წყლით თბილისის მომარაგება პლასტმასის მილსადენების ქსელით განხორციელდება, რომელიც საკმაოდ მარტივ კონსტრუქციას და ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს.

წალკის რაიონში მილსადენის მარშრუტთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა "ბრითიშ პეტროლიუმის" საქართველოს წარმომადგენლობის გენერალურმა მენეჯერმა ედ ჯონსონმა. წალკის წყალსაცავიდან მილსადენის მარშრუტის რამდენიმე კილომეტრით ჩრდილოეთით გადანაცვლებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროც ითხოვდა. "ბრითიშ პეტროლეუმმა", ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად, მარშრუტის ჩრდილოეთით გადანაცვლების შესაძლებლობა შეისწავლა, თუმცა, როგორც ედ ჯონსონი აცხადებს, ეს უფრო მეტ რისკს შეიცავს მილსადენისათვის და წყლის დაბინძურების საშიშროებასაც არ ამცირებს. ამიტომ კომპანია წალკის მარშრუტის შეცვლას არ აპირებს. **"ჩვენ ამ მონაკვეთს, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად, დიდი ხნის მანძილზე ვიკვლევდით და არსებული ვარიანტი ყველაზე უკეთესია,"** - აცხადებს ედ ჯონსონი. მან დაასახელა ამჟამინდელი მარშრუტის რამდენიმე უპირატესობა ჩრდილოეთის მარშრუტთან შედარებით. პირველი - ახლანდელი მარშრუტი იძლევა საშუალებას, [illegible] ეხება. ჯერჯერობით, სამინისტროს ალნიშნულთან დაკავშირებით "ბი-პისთვის" ოფიციალური პასუხი არ მიუწერია.

# „საქართველოში ხარისხს არავინ აფასებს„

*საქართველოში დღეისათვის არც ისე ბევრი საწარმოა, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი მარკისა და ტრადიციების მქონე პროდუქციას უშვებს. ახლანდელი სააქციო საზოგადოება "ლაღიძე", წარმოება, რომელიც ლაღიძეების წინაპრებმა ჯერ კიდევ 1926 წელს დააარსეს, სწორედ ასეთი, დიდი ტრადიციებისა და საყოველთაოდ აღიარებული მარკის მატარებელია. წარმოებას სათავეში ლაღიძეების შთამომავალი უდგას. ლაღიძის ცნობილი სიროფი, რომელიც სააქციო საზოგადოების მიერ წარმოებული უალკოჰოლო სამელისათვის დღესაც ძირითად ნედლეულს წარმოადგენს, სააქციო საზოგადოება "ლაღიძის" დირექტორის თორნიკე ლაღიძის განცხადებით, მხოლოდ ნატურალური ხილისაგან მზადდება და მისი სარეალიზაციო ფასიც ხარისხისა და თვითღირებულების შესაბამისია. საწარმო უკვე კარგა ხანია, ფაქტობრივად, გაჩერებულია. ამის მიზეზი, საქართველოს შიდა ბაზარზე გაჩენილი უხარისხო და იაფფასიანი უალკოჰოლო სასმელების ნაირსახეობა გახლავთ.*

ნინო ნარჩემაშვილი

"ლაღიძის" გენერალური დირექტორი აცხადებს, რომ წარმოებას პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში, ლუდის ყველა ქარხანამ ლიმონათის ჩამოსხმა დაიწყო. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, ყველა ეზოში გაურკვეველი წარმომავლობის ლიმონათს უშვებენ, რომელსაც ათ-თორმეტ თეთრად ყიდიან. მისი თქმით, ეს ყოვლად წარმოუდგენელი ფასია, რადგან "ლაღიძის" ქარხანას, სადაც ყველაფერი შესაბამისი სანიტარული თუ სხვა სახის ნორმების დაცვით მიმდინარეობს, მხოლოდ ბოთლის გარეცხვა ხუთი-ექვსი თეთრი უჯდება. რაც მთავარია, ეს სასმელი, (ლუდის ქარხნების პოდუქციაც იგულისხმება) ფალსიფიცირებულია, რადგან ისინი დამზადებულია არა სპეციალური ნაყენის, არა ნატურალური პროდუქტების გამოყენებით, არამედ ესენციების საშუალებით. შესაბამისად, ასეთი პროდუქტი დიდხანს ძლებს. თორნიკე ლაღიძის თქმით, საწარმოს დღეში 10 ათასი ბოთლი სასმელის წარმოების შესაძლებლობა აქვს, მაგრამ მთავარია პროდუქციის რეალიზაცია, რაც კატასტროფულად შემცირდა. წარმოებაში დასაქმებული 90 თანამშრომელი კი მხოლოდ 30-40 ლარ ანაზღაურებას იღებს. **"გასაღების ბაზარი ისეა მოწყობილი, რომ ხარისხს არავინ აფასებს, მთავარია დაბალი ფასი. ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე უცხოური მარკისა და წარმოების უალკოჰოლო სასმელების დიდი ასორტიმენტია. რთულია, კონკურენცია გაუწიო ტელევიზიითა და პრესით, სარეკლამო სააგენტოების მეშვეობით ფართოდ რეკლამირებულ პროდუქტს. უხარისხო საქონელს შეიძლება ისეთი რეკლამა გაუკეთდეს, რომ ყველას საუკეთესო ხარისხის ეგონოს. რეკლამა მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქციის რეალიზაციის ზრდაში. რეკლამას ბევრი ფული სჭირდება, "ლაღიძეს" კი ასეთი სახსრები არა აქვს,"** - წუხს ცნობილი ქართველი მრეწველის შთამომავალი.

რაც შეეხება ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი თანხების მოზიდვას, წარმოების დირექტორის განცხადებით, ის ინვესტორები, რომლებიც "ლაღიძის" საწარმოთი დაინტერესდნენ, ყოვლად მიუღებელ პირობებს სთავაზობენ, რაც პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს და მის გაყიდვას უფრო გააძნელებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც თორნიკე ლაღიძე აღნიშნავს. ქსნის მინის ტარის ქარხანამ, ბევრი შეკვეთებისა და გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, სააქციო საზოგადოება "ლაღიძეს" ბოთლების დამზადებაზე უარი უთხრა და საწარმო იძულებულია, ლიმონათის ჩამოსასხმელი ბოთლები სომხეთისაგან შეისყიდოს. მართალია, ქარხანას ეს, დაახლოებით, ერთი და იგივე თანხა უჯდება, მაგრამ "ლაღიძის" დირექტორს სამამულო წარმოებისათვის პრიორიტეტის მინიჭების ფაქტორი მაინც აწუხებს. მისი მოსაზრება საქართველოში მოქმედ საგადასახადო სისტემის შესახებ, "24 საათის" მიერ ქართული წარმოების შესახებ უკვე გამოქვეყნებულ მასალებში სხვადასხვა საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ გამოთქმულ აზრს ემთხვევა. კერძოდ, მოქმედი საგადასახადო კანონი ქართული წარმოების ინტერესებს არ ითვალისწინებს. მეტიც, მის ავტორებს სამამულო წარმოების, მრეწველობის, გნებავთ - კერძო ბიზნესისათვის რაიმე უპირატესობის მინიჭებაზე ზრუნვა აზრადაც არ მოსვლიათ. თორნიკე ლაღიძე აცხადებს, რომ **"არსებული მდგომარეობიდან გამოსავალზე ისევ და ისევ ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, თუკი მას ეკონომიკის გაძლიერების და ქვეყნის კეთილდღეობის სურვილი აქვს."**

საზოგადოება

# პატივი ეცით ექიმებს!

ზაზა ფაჩუაშვილი

*გუშინ საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ექიმთა ერთ ნაწილს იმ მიზნით შეხვდა, რომ გაერკვია, სრულდება თუ არა საკრებულოს გადაწყვეტილება თბილისის სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაცის შეჩერების შესახებ. შეხვედრაზე მას არ მოუწვევია სხვა პარტიის წარმომადგენლები, რადგან, მისივე თქმით, არ მომხდარიყო პარტიული დაპირისპირება, მაგრამ დარბაზში ორი "ლეიბორისტი" მაინც აღმოჩნდა.*


*კამათი "ცნობილ პრობლემებზე"*

"პატივი ეცით ექიმებს, კაცო! მე აქ იმიტომ მოვედი, რომ მესაუბრა ექიმების პრობლემებზე და არ ვაპირებ თქვენი ცილისწამებისა და დემაგოგიის მოსმენას," - მიმართა საკრებულოს თავმჯდომარემ "ლეიბორისტებს", რომლებმაც მას ვერა და ვერ აპატიეს წარსული მოქკავშირლობა, პრეზიდენტის გვერდზე დგომა და იუსტიციის მინისტრობა, იმ პერიოდში, როცა შევარდნაძემ გამოსცა ყბადაღებული 190-ე ბრანება "თბილისის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებათა შერწყმის პირველი ეტაპის განხორციელების შასახებ."

თქვენ რომ მაშინ ეს ბრძანება რეგისტრაციაში არ გაგეტარებინათ, არაფერიც არ მოხდებოდაო, ამბობდნენ "ლეიბორისტები" იოსებ შატბერაშვილი და გიორგი გუგავა.

შატბერაშვილს სააკაშვილმა წყნარად უპასუხა, რომ იუსტიციის მინისტრს არ შეუძლია, პრეზიდენტის ბრძანებულების შეჩერება, ვინაიდან ვალდებულია ავტომატურად გაატაროს იგი რეგისტრაციაში, მაგრამ გუგავას მიერ იგივე ბრალდების წამოყენების შემდეგ იფეთქა, რასაც მოჰყვა სიტყვების ჯვარედინი კონონადა გარდამავალი უპირატესობით:

- ნათელაშვილმა ექიმები ისევე იცის, როგორც მე ვიცი, დუშეთში რომელი ძროხა რამდენს იწველის...

- თქვენ რომ რეგისტრაციაში არ გაგეტარებინათ...

- ...მე როგორ შევაჩერებდი, როცა იუსტიციის სამინისტრო ავტომატურად ატარებს პრეზიდენტის ბრძანებულებას...

- ...მაშინ თქვენ და პრეზიდენტი ერთად იყავით...

- ...ერთხელ მოვისმინე, ორჯერ მოვისმინე, სამჯერ მოვისმინე. ახლა იმის განცხადება, რომ სააკაშვილმა დაახურინა საავადმყოფოები, თავხედობაა და ყველაფერს აქვს თავის საზღვარი. ეს არის ზუსტად შევარდნაძის პოლიტიკა...

- ...ახლა თქვენი გამოსვლა ნიანგის ცრემლების ღვრას ჰგავს...

- ...სად იყავით, როცა იმ ექიმებს ხსნიდნენ, რომლებიც ამ ბრძანებულებას ეწინააღმდეგებოდნენ; სად იყავით, როცა ეს ხალხი ჭადრაკის სასახლეში შეიკრიბა, როცა დემონსტრაციებს აწყობდა...

- ...ჩვენ სასამართლოში ვიჩივლეთ და...

- ...თქვენ ერთი რამ გაინტერესებთ, თქვათ, რომ თქვენ ხართ ყველაფერი...

- ...საოლქო სასამართლოს ძალით შევაჩერეთ ოპტიმიზაციის პროცესი...

- ...თბილისის ტერიტორიაზე საავადმყოფოების დახურვის პროცესი ჩვენ შევაჩერეთ და ყველამ იცის, რომ ეს შეჩერდა. რაღა საჭირო იყო ჩივილი? ამის წინააღმდეგი მე მაშინაც ვიყავი და ახლაც ვარ. იმიტომ, რომ არ ვიცი, რა ბედი ელის საკრებულოს გადაწყვეტილებას სასამართლოში...

- ...ახლა პრეზიდენტმა გვიჩივლა და უზენაესში ვიბრძვით...

- ...რატომ უნდა ვასაჩივრებდეთ და ვაყენებდეთ კითხვის ნიშნის ქვეშ საკრებულოს გადაწყვეტილებას? იმიტომ, რომ ეს იყო ჩვენი ინიციატივა. თქვენ კი გინდათ თქვათ, რომ ყველაფერი თქვენ გააკეთეთ.

ამ დროს სააკაშვილს დარბაზში მსხდომი ექიმები გამოექომაგნენ. გუგავამ კი ტაქტიკა შეცვალა და თანამშრომლობისკენ მოწოდების ლოზუნგი ისროლა, ერთად ვიყოთ საკრებულოშიც და სასამართლოშიცო.

მიხეილ სააკაშვილმა სასამართლოს გადაწყვეტილება წინასწარვე გააბათილა და თავისი სიტყვების დასტურად ხუთჯვრიანი დროშის მაგალითი მოიყვანა: "მე საერთოდ არ მაინტერესებს სასამართლოს გადაწყვეტილება. ცივი წყალი დალიოს ყველა მოსამართლემ და როგორც უნდა, ისე გადაწყვიტოს. ეს არის საკრებულოს კომპეტენცია და ამ ფუნქციას არ მივცემ სასამართლოს, რომელზეც კონტროლი არ არსებობს. აგერ ხუთჯვრიან დროშაზეც გააუქმებინა შარაძემ გადაწყვეტილება, მაგრამ მივიღეთ მეორე განკარგულება ზუსტად ასეთივე."

რეფორმირებული სასამართლოს რამდენიმე საინტერესო ნიშანთვისების გარდა, სხდომიდან ისიც გაირკვა, რომ თბილისში სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაცია ჯერ კიდევ შეჩერებულია და იატაკქვეშა პროცესები ამ მიმართულებით ნამდვილად არ მიმდინარეობს.

სხვა მხრივ ახალი არაფერი მომხდარა. გამომსვლელებმა სამედიცინო დაწესებულებებისა და ექიმების საზოგადოებისთვის ცნობილ პრობლემებზე ისაუბრეს.

# პარლამენტის „საჩუქარი"

*საქართველოს პარლამენტმა თამბაქოს მოწინააღმდეგეები 29 მარტისთვის "დაასაჩუქრა" და თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონპროექტი ჩააგდო. თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრი თამბაქოს ინდუსტრიის ლობისტ პარლამენტარებს ვინაობის გამოაშკარავებით ემუქრება. "საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში ყველას ეცოდინება მოსახლეობის ჯანმრთელობის მტერი პარლამენტარების გვარები", - აცხადებს ცენტრის ხელმძღვანელობა.*

ნანა ქადაგიშვილი

თამბაქოს საწინაღმდეგო ცენტრს მუქარა არც თამბაქოს ინდუსტრიისთვის დაუკლია. "თუკი ინდუსტრია ჩვენს მოთხოვნებს არ შეასრულებს, მათ წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლას დავიწყებთ", - აცხადებს ცენტრის ხელმძღვანელი გელა კობეშავიძე. ცენტრმა თამბაქოს ადგილობრივ მწარმოებლებსა თუ ომპორტიორებს საკუთარი მოთხოვნების შესრულების ბოლო ვადად 29 მარტი (თამბაქოს საწინაალმდეგო საერთაშორისო დღე) დაუთქვა. ინდუსტრიას ქალაქში განთავსებულ ყოველ 2 რეკლამაზე ერთი ანტირეკლამა უნდა გაეკეთებინა და წლის განმავლობაში 800 ათასი ლარი გაეღო. ეს თანხა სპეციალურ ფონდში შევიდოდა და თამბაქოს საწინაალმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მოხმარდებოდა. თამბაქოს ინდუსტრიას, ბუნებრივია, არც ერთი მოთხოვნა შეუსრულებია და, მით უმეტეს, არც მეორე. ფულის გამომძალველები ხართ და ადგილობრივ წარმოების დაღუპვა გინდათ, თუ მაგრები ხართ კონტრაბანდას ებრძოლეთო, განუცხადა საქართველოს თამბაქოს წარმოების კომერციულმა დირექტორმა თემურ მიქაბერიძემ თამბაქოს მოწინააღმდეგეებს გუშინ გამართულ შეხვედრაზე. "მიუხედავად იმისა, რომ უფილტრო სიგარეტის წარმოების დახურვაზე დაუფიქრებლად მოვაწერდით ხელს, ადგილობრივ წარმოებას მაინც არ ვებრძვით. შევქმენით თამბაქოს არალეგალური ბრუნვის კონტროლის ალიანსი, რომლის მიზანიც ბიუჯეტისა და თამბაქოს წარმოების შავი ბიზნესისგან დაცვაა. ფინანსთა სამინისტროში ყველა შესაბამისი სამსახური შევისწავლეთ და აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ წარმოების მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხა 150 მლნ. ლარს შეადგენს, იმპორტიდან კი მხოლოდ 40 მლნ-ია შესული. ამ გამოკვლევის საფუძველზე რეკომენდაციებს შევიმუშავებთ და სახელმწიფო მინისტრს მივაწვდით. რაც შეეხება ფონდში შესატან თანხას, თამბაქოს ინდუსტრია მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, ამიტომ კეთილი ინებეთ და ადამიანების ჯანმრთელობაზე იზრუნეთ", - უპასუხა გელა კობეშავიძემ.

თამბაქოს საწინაალმდეგო ცენტრი პარლამენტისგან შეცდომის გამოსწორებას კატეგორიულად მოითხოვს. ცენტრის ხელმძღვანელთა შემართება და ოპტიმიზმი ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების თამბაქოსადმის "დამოკიდებულების" მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საეჭვოა, პარლამენტი მათმა მუქარამ შეაშინოს და ერთ-ერთ მარჩენალს, თამბაქოს ინდუსტრიას შეეჭიდოს. ჩვენს პარლამენტარებს შეხსენება სულაც არ სჭირდებათ, რომ თამბაქო ადამიანის ჯანმრთელობაზე მომაკვდინებლად მოქმედებს და საქართველოში სიგარეტის კონტრაბანდა ყვავის, მაგრამ ამ ყველაფრის ცოდნას თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონპროექტის ჩაგდებაში სულაც არ შეუშლია ხელი.

სამართალი

# რეფორმის პირველი ეტაპი პოლიციაში

პირველი გვერდიდან

**"მე მზად ვარ, ახლავე ავიყარო ყველა წოდება,"** – ასეთი იყო შს მინისტრის პოსტზე სამოქალაქო პირის დანიშვნის შესახებ გამოთქმული მოსაზრების საპასუხოდ კობა ნარჩემაშვილის მიერ გაკეთებული რეპლიკა.

პოლიცია, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყოფა. ეს იქნება ფორმიანი საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებით დაკომპლექტებული დანაყოფი, რომელიც ძველ საქმიანობას - დანაშაულის გახსნაზე მუშაობას დაემშვიდობება და მხოლოდ სამძებრო საქმიანობით დაკავდება. მეორე უწყება უფორმო გამომძიებლებით შევსებული ერთიანი საგამოძიებო სტრუქტურაა. დღემდე შსს-ს სხვადასხვა რგოლებში გაფანტული საგამოძიებო საქმიანობა, თავისი საწყისით - მოკვლევის ინსტიტუტით, სწორედ ამ სტრუქტურაში, ერთიან საგამოძიებო დეპარტამენტში, რომლის ხელმძღვანელსაც, მინისტრის რეკომენდაციით, პრეზიდენტი დანიშნავს - გაერთიანდება.

რეფორმა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ პოლიციელებს დღემდე მინიჭებულ უფლებებს უკვეცავს და დარჩენილს მკაცრად უსაზღვრავს. ამ დანაყოფის გასაკონტროლებლად შეიქმნება როგორც ადამიანის უფლებების დამცველი სამსახური, ასევე გენერალური ინსპექცია, თანაც, არატრადიციული ფორმით.

ერთი სიტყვით, რეფორმის შედეგად შსს-ში გამეფებული ძველი სტერეოტიპი დაიმსხვრევა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო სარეფორმო სვლას ერთ თვეში დაიწყებს. მაისში შსს-ში თანამშრომელთა ატესტაცია იწყება. პროგრამა, რომლის მიხედვითაც გამოცდა მოხდება, უკვე დარიგებულია და აბიტურიენტ პოლიციელებს საგამოცდოდ პოლიციის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები ამზადებენ - ლექციებს უკითხავენ.

პოლიციელებს ატესტაცია გასაუბრების წესით ჩაუტარდებათ და საქართველოს კონსტიტუციისა და პოლიციის საქმიანობის შესახებ კანონის ცოდნა მოეთხოვებათ. ასევე, შემოწმდება თითოეულის კვალიფიკაცია მათი სამსახურის სპეციფიკისა და საქმიანობიდან გამომდინარე. საპასპორტო-სავიზო სარეგისტრაციო ეროვნული ბიუროს თანამშრომლებს მოქალაქეობის, მიგრაციის შესახებ კანონების ცოდნა მოეთხოვებათ. რაც შეეხება გამოძიებას, ამ დეპარტამენტის თანამშრომლებმა სისხლის სამართლის და საპროცესო კანონები უნდა იცოდნენ. საკანონმდებლო ცოდნასთან ერთად, შემოწმდება გამოსაცდელთა და ასევე, იმ პირთა პირადი საქმეც, ვინც სამსახურში მიღებაზე მათ რეკომენდაცია მისცა.

პოლიციელებს გამოცდას შს სამინისტროში სპეციალურად შექმნილი კომისია ჩაუტარებს რომელიც მინისტრის მოადგილეებითა და ასევე გამოცდაჩაბარებული სამმართველოს უფროსებით დაკომპლექტდება. ატესტაცია უნდა გაიაროს შსს-ს ყველა თანამშრომელმა, გარდა ტექნიკური პერსონალისა. გამოცდა ჯერ შსს-ს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს ჩაუტარდებათ, ხოლო შემდგომ ეტაპებზე - რეგიონების მიხედვით, პოლიციის ყველა განყოფილების თანამშრომლებს.

ატესტაცია მომავალ წელსაც გაგრძელდება, რადგან პოლიციაში ამჟამად 25 ათასი პოლიციელი მუშაობს და გამოცდა თითოეულმა მათგანმა უნდა გაიაროს. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, შს მინისტრის მოადგილე შოთა ასათიანი ვარაუდობს, რომ ატესტაციის შედეგად პოლიციელთა რიგები საგრძნობლად შემცირდება.

# რუსული მაფიის ორი ლიდერი შავ ბიზნესს საფრანგეთში აწარმოებდა

ფრანგი კანონდამცველების მიერ გახსნილ რეზონანსულ საქმეს საფრანგეთის პრესა დეტალურად აშუქებს. საქმე ისაა, რომ საფრანგეთში მსხვილი დანაშაულებრივი კლანის საქმიანობა გაიხსნა. დაპატიმრებულნი არიან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, რომლებიც ადამიანებით ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. საფრანგეთის სამართალდამცველი სტრუქტურების ინფორმაციით, ადამიანით მოვაჭრეების შავ ბიზნესს საფრანგეთში რუსეთის მაფიის ორი ლიდერი აკონტროლებდა. მათ დაჯგუფებას რუსი ქალები შეჰყავდათ ევროპაში, სადაც შემდეგ პროსტიტუციის ინდუსტრიაში "აბამდნენ". გაზეთ "Parisien"-ის ინფორმაციით, ოთხშაბათს, საფრანგეთის პოლიციამ ბოლო 20 წლის განმავლობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ოპერაცია ჩაატარა – დააპატიმრეს რუსი მაფიოზები, რომელთა ვინაობაც, ჯერჯერობით, გასაიდუმლოებულია. გამოძიებამ უკვე დაადგინა ის დაწესებულებები, სადაც მაფიოზები რუსეთიდან, ლატვიიდან და უკრაინიდან ჩაყვანილ ახალგაზრდა გოგონებს ამუშავებდნენ. ამ დაწესებულებათა მომსახურებით საფრანგეთის ელიტარული საზოგადოების წევრები – ბიზნესმენები, ხელისუფლებისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები სარგებლობდნენ. კლიენტის ვიზიტის ფასი 200-დან 800 ევრომდე იყო. მაფიოზების დაკავება რუსი კანონდამცველების მონაცემების საფუძველზე მოხდა, დაპატიმრებულები ბრალდებულნი არიან, ასევე, შავი ფულის გათეთრებაშიც.

ამ სკანდალური საქმის შესახებ გუშინ ახალი დეტალები გახდა ცნობილი. გავრცელებული ინფორმაციით, დაპატიმრებული რუსი მაფიოზები ძმები არიან, ცნობილია მხოლოდ მათი სახელები - ვლადიმირი და რომანი. ამჟამად, დაკავებულებს ფრანგი სამართალდამცველები ჩვენებას ართმევენ. საფრანგეთის პოლიციის განცხადებით, რუს მაფიოზთა მიერ ევროპაში გადაყვანილი გოგონები, გარდა პროსტიტუციისა, რუსეთის მაფიის ბოსთა სხვა დავალებებზეც მუშაობდნენ, დასაქმებულნი იყვნენ შპიონაჟით. გოგონების "თანხმობაზე" მოსკოვში ოფიციალურად მომუშავე, მოდელების ერთ-ერთი სააგენტოს მფლობელი მუშაობდა. საფრანგეთში ჩაყვანილი 100 გოგონა, ქვეყანაში კანონიერი გზით ჩავიდა. საფრანგეთის პოლიციის განცხადებით, საფრანგეთში გოგონებს მხოლოდ რამდენიმე დღე ამუშავებდნენ და შემდეგ უკან აბრუნებდნენ, მათ ნაცვლად კი ახალი ჯგუფი ჩადიოდა. "პროსტიტუტკა-შპიონების" საქმიანობა მკაცრად რეგლამენტირებული იყო, თითოეულ მათგანს ურიგდებოდა სამუშაო ინსტრუქცია, მათ ეკრძალებოდათ მოწევა, ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღება. საქმის სხვა დეტალებს გამოძიება, ჯერჯერობით, ასაიდუმლოებს.

საფრანგეთის პოლიცია საქმეს 2 წლის მანძილზე იკვლევდა და რამდენიმე დღის წინ შეძლო მისი გახსნა. ამ პერიოდის მანძილზე ისმინებოდა მეძავების სატელეფონო საუბრები კლიენტებთან, რომლებითაც დაინტერესებულნი იყვნენ მათი ბოსები. საფრანგეთის პოლიციას ცნობილ ფრანგ ბიზნესმენსა თუ პოლიტიკოსთან წარმოებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერები მოეპოვება.

# კრწანისში კულტურაზე დებატები დასრულდა

ვერა ნეფარიძე

"ეს იყო ცოცხალი, ნამდვილი დებატები საკმაოდ მწვავე საკითხებზე", - ძალიან მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გამართული ორდღიანი დებატების შესახებ ევროსაბჭოს ექსპერტთა მისიის ხელმძღვანელის ელბერტ ვოლფდიტრიხის შეფასება, რომელიც მან საკმაოდ დამღლელი სამუშაო გრაფიკის ბოლოს გააკეთა. მისია დღეს სტრასბურგში გაემგზავრა. კულტურის სამინისტროს კი, კულტურის მოღვაწეებთან ერთად უამრავი სამუშაო დაუტოვა. მათ შორისაა დებატების ბოლო დღეს განხილული დეკლარაციის პროექტი, რომელიც მცირეოდენი შესწორებების შემდეგ საქართველოს ყველა პასუხისმგებელ (მათ, ვისაც კულტურის საკითხების გადაწყვეტა ევალება) პირს უნდა დაეგზავნოს.


შესვენებაზე: იზა ორჯონიკიძე, ვახტანგ მაჭავარიანი და რუსუდან ბერიძე

გუშინდელი დებატები განსაკუთრებულად აქტუალური და მწვავე გამოვიდა. ეს თავიდანვე მოსალოდნელი იყო, რადგანაც კრწანისის რეზიდენციაში შეკრებილ სტუმრებს კულტურის დაფინანსებაზე უნდა ემსჯელათ. მით უმეტეს, რომ განხილვაზე ძირითად გამომსვლელებს შორის იყვნენ ფინანსისტ-ეკონომისტები; ისინი, ვისზეც ხშირად დამოკიდებულია კულტურის სექტორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. კულტურის მოღვაწეების მხრიდან საკმაოდ გულუბრყვილოდ შეიძლება შევაფასოთ მათი მოლოდინი, რომ ეკონომისტ-ფინანსისტების გამოჩენა მათ რაიმე კონკრეტულ პასუხებს გასცემდა წლობით დაგროვილ შეკითხვებზე თუ გადაუჭრელ პრობლემებზე. ამიტომაც იყო, რომ გუშინდელი შანსის მაქსიმალურად გამოყენება სცადეს კულტურის მოღვაწეებმა, საკმაოდ დაწვრილებითი პასუხი მოითხოვეს ახლანდელი თუ ერთ დროს თანამდებობაზე მყოფთაგან, რაც ხშირად შეხვედრის ძირითად თემებს მაინცადამაინც არ პასუხობდა. სწორედ ამის გამო თქვა მწერალმა იზა ორჯონიკიძემ ძლივს შანსი მომეცა, თავის დროზე ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრას ვერ ველირსე და ახლა გავჩერდებიო? (ამჟამად ზურაბ ნოღაიდელი შპს "დამენია, ნოღაიდელი, ვარშალომიძე"-ის პარტნიორია).

კულტურის დაფინასების თემაზე საუბარი გუშინ დილით ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ნათია თურნავამ დამსწრე საზოგადოებისთვის საკმაოდ უინტერესო საკითხებით დაიწყო. არა მგონია, იქ მყოფთაგან თუნდაც ერთისთვის მაინც უცნობი თუ იყო, რამდენად იმოქმედა სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციაზე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ; რომ ჩვენთან ეკონომიკური განვითარების დაბალი მაჩვენებელია და ა.შ. სტუმრებისთვის (ვგულისხმობ, ხელოვანებსა და კულტურის მოღვაწეებს) უცხო მხოლოდ მომხსენებლის პროფესიული, ეკონომიკური ტერმინებით გაჯერებული ტექსტი იყო. გამოსვლის გამო უკმაყოფილება უმტკივნეულო კომენტარით შემოიფარგლა. დამსწრეთა უკმაყოფილება თანდათანობით ზურაბ ნოღაიდელის გამოსვლამდე იზრდებოდა. ეს კი კიდევ ერთი ეკონომისტის, სხდომის თავმჯდომარის, პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით კოღუაშვილის დამსახურება იყო. კოღუაშვილის მუშაობით (დებატების დასაწყისში) უკმაყოფილო მონაწილეებმა ველარ მოითმინეს და შენიშვნა მისცეს: "თქვენ გინდათ პარლამენტის მუშაობის სტილი აქ გადმოიტანოთ? რა აზრი აქვს ჩვენს აქ ყოფნას", - უკმაყოფილება საკმაოდ ბუნებრივი იყო, რადგანაც, სხდომის თავმჯდომარე მომხსენებლის შემდეგ თავიდან შეკითხვების უფლებას არ აძლევდა მონაწილეებს. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ორდღიანი დებატების დროს, ხშირად, კულტურის მინისტრის დიპლომატიურმა გამოსვლებმა დაამშვიდა გაცხარებული მოდავეები.


კულტურის მოღვაწენი და ფინანსისტები

ზუსტად არ მახსოვს, რა ხანი გავიდა მთავრობის იმ სხდომის შემდეგ, როდესაც ფინანსთა მინისტრის გამოსვლას, სესილი გოგიბერიძის ცრემლები მოჰყვა, მაგრამ როგორც ეს გუშინ ვნახეთ, გოგიაშვილისგან იმედგაცრუებამ ხელი არ შეუშალა კულტურის მინისტრსა და ფინანსთა ექსმინისტრს თანამშრომლობის დასაწყებად. სესილი გოგიბერიძის თქმით, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, მისმა უწყებამ ზურაბ ნოღაიდელისგან რამდენიმე საყურადღებო რჩევა მიიღო. ნოღაიდელის გუშინდელი მონაწილეობა დებატებში რჩევებს ნაკლებად ითვალისწინებდა. მისი ერთადერთი რჩევა იყო, შექმნას კულტურის სექტორმა შიგნით კონკურენტუნარიანი გარემო და კონკურენციის პირობებში მოიპოვოს თანხები. თავიდან მეგონა, რომ ყოფილი ფინანსთა მინისტრის გამოსვლის შემდეგ, აზრს დაკარგავდა დებატები, რადგანაც ნოღაიდელმა ყველაზე არასაიმედო დასკვნა გააკეთა: უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში კულტურა ვერ მოხვდება ქვეყნის საბიუჯეტო კანონში პრიორიტეტებს შორის, - ამტკიცებდა იგი. მაგრამ, ნოღაიდელის თვითდაჯერებულმა ტონმა ამჯერად არ გამოიწვია დამსწრეთა ცრემლები. "პრიორიტეტები მთავრობამ უნდა შეადგინოს. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში კულტურა ვერ მოხვდება საბიუჯეტო კანონში პრიორიტეტებს შორის. ეს მწარე სინამდვილეა და უნდა ვიყოთ ამისთვის მზად".

საერთოდ, კულტურის პრიორიტეტულობა ორი დღის განმავლობაში დებატების ყველაზე გაურკვეველი თემა იყო მანამდე, ვიდრე ჯერ ბრიტანელმა ექსპერტმა, ენდრიუ მაქელროიმ არ განმარტა, რომ პრიორიტეტულობა ერთმნიშვნელოვნად არ უნდა გავიგოთ; რომ ცნობილია მისი რამდენიმე დონე. ესენია: თეორიული (როდესაც საზოგადოება აღიარებს კულტურას პრიორიტეტად), კონკრეტული სამუშაოების დონეზე და სექტორული პრიორიტეტი (რომელიც, საყოველთაო დონეზე პრიორიტეტულობას ნიშნავს).

სხდომის განმავლობაში ორი მხარე (პირობითად ისინი ფინანსისტებად და ხელოვანებად შეიძლება მოვიხსენიოთ) თითქოს ორ ენაზე საუბრობდა. კულტურის მოღვაწეები (იზა ორჯონიკიძე, გოგი მარგველაშვილი, დავით ლორთქიფანიძე და ა.შ) სრულიად კონკრეტულ შეკითხვებს სვამდნენ ფინანსისტების მიმართ საკუთარი ორგანიზაციების (იგულისხმება ორგანიზაციები, რომელთაც ისინი წარმოადგენენ) პრობლემების შესახებ, მოპასუხეები კი საკმაოდ აბსტრაქტული, ეკონომიკური ტერმინებით საუბრობდნენ, რაც გაუგებრობასა და უკმაყოფილებას იწვევდა. ენდრიუ მაქელროიმ თავის გამოსვლაში ამას მხატვრულ და ეკონომიკურ ენებზე საუბარი დაარქვა. თუმცა, მისიის ხელმძღვანელი, ელბერტ ვოლფდიტრიხი დებატების დასასრულს ჟურნალისტებთან საუბრობდა, როგორ გააკვირვა ქართველი ეკონომისტებისა და ხელოვანების საერთო მიზნისკენ სწრაფვამ და ა.შ.

ორი დღის განმავლობაში კულტურის მოღვაწეებმა ვერც ეკონომისტ-ფინანსისტებისგან მიიღეს ამომწურავი პასუხი, თუ რატომ ყოვნდება ქველმოქმედების შესახებ კანონის მიღება. შეკითხვაზე ზედაპირულად გაცემული ზოგიერთი პარლამენტარის პასუხი ალბათ ყოველგვარ საზღვრებს სცდება. მათი აზრით, აღნიშნული კანონის მიმართ მათ სიფრთხილეს (რაც ამ კანონის მიუღებლობაში გამოიხატება) ერთადერთი არგუმენტი აქვს: იხსნან კულტურა კორუფციისგან. სამწუხაროა, როდესაც ისეთ გახრწნილ გარემოში გიწევს ცხოვრება, სადაც უკვე წინასწარ საუბრობენ კანონმდებლებიც კი, რომ ესა თუ ის (მათთვის არასასურველი გადაწყვეტილება) დაცული ვერ იქნება ისეთი მანკიერებისგან, როგორიც თუნდაც კორუფციაა.

არ ვიცი, შესვენებებმა რამდენად ითამაშა გარკვეული როლი, მაგრამ სრულიად აშკარა შესამჩნევი იყო, რომ ყოველ განახლებულ სხდომაზე მოკამათეთა რაოდენობა მცირდებოდა. საბოლოოდ, იმასაც მიაღწიეს, რომ "დაპირისპირებულებმა" ბოლოსკენ ერთმანეთს მადლობაც გადაუხადეს დებატებში მონაწილეობისთვის. ორდღიანი დებატები დეკლარაციის მიღებით დასრულდა. მხარეები შეთანხმდნენ წლის განმავლობაში ქარტიის შექმნაზეც, თუმცა მანამდე შეირჩა თხუთმეტამდე ადამიანი, ვინც მომავალ კომისიაში გაწევრიანდება. კომისია ქარტიაზე იმუშავებს; ხოლო უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ მთავრობის გაფართოებულ სხდომას, რომელიც მთლიანად კულტურის საკითხებს მიეძღვნება. სესილი გოგიბერიძის თქმით, ეს იდეა პრეზიდენტმა თებერვალში გამოთქვა. რაც შეეხება ევროსაბჭოს ექსპერტთა მონაწილეობას საქართველოს კულტურის პოლიტიკაზე მუშაობაში, კონკრეტულ გეგმებზე ისინი ჯერ-ჯერობით არ საუბრობენ. "ჩვენ არ გაძალებთ ჩვენს თავს. თუმცა, თუ დაგჭირდებით, მზად ვართ გემსახუროთ", - ასეთი სიტყვებით დაგვშორდა მისიის ხელმძღვანელი, ელბერტ ვოლფდიტრიხი. ორდღიანი მუშაობის შემდეგ, გუშინ საღამოს, მონაწილეები თანამედროვე ხელოვნების გალერეაში ქართული რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენაზე შეიკრიბნენ.

# როგორ აღინიშნება ვან გოგის დაბადების 150-წლისთავი

ნინო ჟანიშვილი

ასეთ თარიღებს დასავლეთში ხელიდან არ უშვებენ და განსაკუთრებულად აღნიშნავენ ხოლმე. რაც არ უნდა ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდეს მუზეუმს, ასეთი მრგვალი თარიღი კიდევ უფრო მეტი ტურისტის მიზიდვის საშუალებას იძლევა.

ვან გოგის მუზეუმი ამსტერდამში დამთვალიერებლების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის, მას ყოველწლიურად 1,6 მილიონი ადამიანი სტუმრობს. ამსტერდამის მუზეუმს მხატვრის ყველაზე მდიდარი და სრული კოლექცია აქვს.

დღეს ვან გოგის ფანები სპეციალური სატრანსპორტო მომსახურებით, მუზეუმში უფასო შესვლითა და დაბადების დღის ტორტით ისიამოვნებენ. მუზეუმში, პირველი სადღესასწაულო მოვლენა ის იყო, რომ ნებისმიერ მსურველს შეუძლია ასლი გააკეთოს ვან გოგის სურათებიდან. თანაც ისე, რომ საღებავების და ფუნჯის მიტანაც არ დასჭირდება - ყველაფერზე მუზეუმმა იზრუნა. მუზეუმის დირექციამ მოზარდებიც ჩართო პროექტში, გარდა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამებისა, გამოცხადდა დაბადების დღის მისალოცი ღია ბარათების კონკურსი და გამარჯვებულები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან.

რაც შეეხება გამოფენებს მუზეუმი იუბილეს ორი გამოფენით შეხვდა: "ვან გოგის არჩევანი" და "ვან გოგი და თანამედროვე მხატვრები". პირველ მათგანზე წარმოდგენილია იმ მხატვრების (რემბრანდტი, მილე, დელაკრუა) სურათები, რომლებმაც ვან გოგზე დიდი შთაბეჭდილება და გავლენა მოახდინეს. ძმისადმი მიწერილ, მგზნებარე წერილებში ვან გოგს ნახსენები აქვს 1 100 ხელოვნების ნიმუში. ეს გამოფენა წარმოადგენს იმ ნიმუშთა კოლექციას, რის ქონებასაც მხატვარი სიცოცხლეში ისურვებდა. პირველი განყოფილება იმ პერიოდს ეთმობა, სანამ 27 წლის ვინსენტი მხატვრობას მიუძღვნიდა თავს. თავიდან ვან გოგი ხელოვნებას ბიძების საშულებით გაეცნო, რომლებიც დილერები იყვნენ. წარმოდგენილია ის ნიმუშები, რაც 20 წლის ასაკში მოსწონდა, მათ შორის რეისდალის "ჭექა-ქუხილი". მამის გავლენით ვან გოგს მე-19 საუკუნის რელიგიური, ჰოლანდიური ფერწერაც იზიდავდა, ექსპოზიციაზე გამოფენილია არი შეფერის "აგონია ბაღში". მეორე გამოფენის მიზანი კი ასეთია: "უჩვენოს თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს ვან გოგის შემოქმედებას თანამედროვე მხატვრობაზე"

ისე, ვან გოგი ჯერ კიდევ შარშან გახდა წლის ყველაზე წარმატებული მხატვარი, უფრო სწორედ კი ამსტერდამის მუზეუმში მოწყობილი გამოფენა "ვან გოგი-გოგენი". გამოფენაზე სურათები მსოფლიოს 65 მუზეუმიდან იყო ჩამოტანილი და ორი მხატვრის რამდენიმე წლიან დრამატულ ურთიერთობას ასახავდა. როგორც უცხოური პრესა წერდა, ამ გამოფენას ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო 2002 წელს და მეოთხე ადგილზე ჩამოიტოვა "ტეიტ მოდერნის" "პიკასო-მატისი".


ვან გოგი. ავტოპორტრეტი - 1889 წ.

ვან გოგის მუზეუმი ამსტერდამში 1973 წელს გაიხსნა და ამჟამად ორი შენობისგან შედგება. პირველი ნაგებობა გერი რიტველდის პროექტის მიხედვით აშენდა. რიტველდის გეომეტრიულ შენობას 1999 წელს კიშო კუროკავას ელიფსის ფორმის შენობა მიემატა.

ვან გოგის კიდევ ერთი დიდი კოლექცია ჰოლანდიის მეორე მუზეუმში, Kroller Muller Museum-ში ინახება. ეს მუზეუმი ვან გოგში ფანატიურად შეყვარებულმა, მდიდარი ბიზნესმენის ანტონ კროლერის მეუღლემ, ელენ მიულერმა 1930-ან წლებში დაარსა. ამ მუზეუმს გაცილებით ნაკლები დამთვალიერებელი ჰყავს. ამჟამად აქ წარმოდგენილია ექსპოზიცია "ვინსენტი და ელენი".

იუბილესთან დაკავშირებით, დოქტორ ფერდინანდ გაშეს სახლი ოვერეში, რომელსაც უკანასკნელ წლებში რეგულარულად სტუმრობდა მხატვარი, პირველად გაიხსნება პუბლიკისთვის. დოქტორ გაშეს თეთრი, სამსართულიანი სახლი ხელუხლებლად არის შემორჩენილი. მართალია სახლში ვან გოგის და სეზანის სურათები აღარ არის, ის ადგილები სადაც სურათები ეკიდა დღესაც შესამჩნევია. როგორც ვან გოგის ინსტიტუტის დირექცია აცხადებს, მათ არ სურთ, რომ ეს ადგილი მუზეუმად იქცეს, არამედ უნდათ, რომ პილიგრიმთა მონახულების ადგილი გახდეს.


ვან გოგის მუზეუმი ამსტერდამში

დღეს საიუბილეო თარიღს საფრანგეთთან და ბელგიასთან ერთად, რუსეთიც აღნიშნავს თეატრალური პროექტით "ქალაქის შეშლილთა ბლუზი", რომელსაც ჰოლანდიელი რეჟისორი ერიკ გროტელი დგამს.

ვან გოგის ბიოგრაფიით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას ვიტყოდი, რომ იგი ყველაზე მეტად პასუხობს ტრადიციულ წარმოდგენას, გენიალურ და ფსიქიურად შეშლილ მხატვარზე, რომელიც ცხოვრებაში ღარიბი და დაუფასებელი იყო, სიკვდილისთანავე კი პოპულარული გახდა. ვან გოგმა ცხოვრებაში მხოლოდ ერთი სურათის გაყიდვა მოახერხა. 1980-იან წლებში მისი "მზესუმზირები" 39,5 მილიონ დოლარად გაიყიდა. დღეს კი ყველაზე ძვირადღირებული მხატვრად რჩება. 1990 წელს ვან გოგის "დოქტორ გაშეს პორტრეტი", იაპონელმა კოლექციონერმა 82,5 მილიონ დოლარად შეიძინა. ეს ყველაზე დიდი თანხაა, რაც კი ოდესმე გადახდილა ხელოვნების ნიმუშში.

2003 წლის ბოლომდე ვან გოგთან დაკავშირებული კიდევ არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი. 2004 წელი კი სალვადორ დალის წლად არის გამოცხადებული. თუმცა, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, იგი გაცილებით ნაკლებ მასშტაბური იქნება, ვიდრე მისი თანამემულის, ანტონიო გაუდის 2002 წელი.

# ოპერის თეატრი ისრაელში

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასი საგასტროლოდ ისრაელში გაემგზავრა. ერაყში განვითარებული მოვლენების გამო, ტურნე კინაღამ ჩაიშალა, საბოლოოდ კი საგასტროლო გეგმიდან მხოლოდ იერუსალიმში დაგეგმილი გამოსვლა ამოვარდა.

თბილისის საოპერო თეატრი ისრაელში ვიქტორ დოლიძის "ქეთო და კოტეს" წარადგენს. დასი ორი წარმოდგენის შესასრულებლად ორმაგი შემადგენლობით გაემგზავრა (თემურ გუგუშვილი, ლიანა კალმახელიძე, გია მახარაძე, ნინო ლეჟავა და სხვ.). წარმოდგენას კი რევაზ ტაკიძე უდირიჟორებს.

ეს სპექტაკლი საგასტროლოდ თბილისში სპეციალურად ჩამოსულმა კომისიამ ჯერ კიდევ შარშან შეარჩია. ამ კომისიის თავმჯდომარე იყო საქართველოში გაზრდილი კომპოზიტორი და დირიჟორი, იოსებ ბარდანაშვილი. "ქეთო და კოტე" ჟანრის ნიშნით შეირჩა. მომღერლებთან ერთად ისრაელში გაემგზავრა საბალეტო დასიც.

ქართველი შემსრულებლები გასტროლების ბოლოს გალა-კონცერტსაც გამართავენ - შესრულდება ნომრები საოპერო და საბალეტო სპექტაკლებიდან.

## კალენდარი

### 30 მარტი

ფრანგი სიმბოლისტი პოეტის, პოლ ვერლენის ლირიკა გრძნობებითა და განცდითაა აღსავსე, მუსიკალურია და სულშიჩამწვდომი ("სატურნული ლექსები", "უსიტყვო სიმღერები", "სიბრძნე"). ლიტერატურულ კრიტიკული ნარკვევების კრებულის, "წყეული პოეტებისა" და ავტობიოგრაფიული "აღსარების" ავტორის ცხოვრება კი უჩვეულო და დრამატული იყო.



ის ბოჰემის წარმომადგენელი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაწანწალა, მსმელსა და გამათხოვრებულ გენიოსს ახალგაზრდა პოეტები აღმერთებდნენ, ის კი გაუგებარ ხალხთან და საეჭვო ქალებთან ურთიერთობდა, სხვენებსა და სარდაფებში ცხოვრობდა და თავის თუმცა არარეგულარულ, მაგრამ არცთუ მცირე პოეტურ ჰონორარებს სასმელში ხარჯავდა.

1894 წელს, ლეკონტ დე ლილის გარდაცვალების შემდეგ, ფრანგმა პოეტებმა ის პოეტთა მეფედ აღიარეს, თუმცა "გვირგვინის" ტარება დიდხანს არ მოუწია. პოეტი სახელმწიფოს ხარჯზე დაკრძალეს, და მის საფლავზე გაიჟღერა სიტყვებმა: "დიდი პოეტი".

პოლ ვერლენი (1844-1896) ფრანგი ოფიცრის ვაჟი იყო, და ადრეული ბავშვობა მშობლებთან ერთად გარნიზონებში გაატარა. შემდგომ ოჯახი პარიზში დასახლდა, ვერლენმა ლიცეუმი დაამთავრა, ბაკალავრის წოდება მიიღო და რამდენიმე სემესტრი სამართალს სწავლობდა.

ამის შემდეგ ის მრავალი წლის განმავლობაში სახელმწიფო მოხელე იყო. ცოლი, ვინმე მატილდა მოტე, მისგან სრულიად განსხვავდებოდა, ინტელექტუალური და კულტურული დონითაც. შესაბამისად, მათი ოჯახური ცხოვრება ერთობ უსიამოვნოდ წარიმართა, თან, ვერლენი სვამდა.

კომუნის დაცემის შემდეგ, რეპრესიების შიშით, პოეტმა პარიზი დატოვა და სიმამრის სახლში იმალებოდა. სწორედ იმხანად დაუმეგობრდა ის არტურ რემბოს.

რემბო, 17 წლის ბიჭი, უკვე შესანიშნავი პოეტი იყო. მშობლების სახლიდან გაქცეულმა მან ვერლენს, "ერთადერთ პოეტს", წერილი მისწერა და თავშესაფარი სთხოვა. ვერლენი აღტაცებული შეხვდა, და რემბოც მათთან დასახლდა.

ახალგაზრდა პოეტი ერთობ მძიმე სტუმარი აღმოჩნდა, და რამდენიმე უსიამოვნების შემდეგ ვერლენი ცოლს დაცილდა – "ერთმანეთისგან დასასვენებლად" – და ძვირფას მეგობართან ერთად ჯერ ბელგიაში გაემგზავრა, შემდეგ კი ლონდონში. ისინი მხიარულად ეწეოდნენ მაწანწალების ცხოვრებას, ლექსებს წერდნენ, საუბრობდნენ, სვამდნენ.

მაგრამ შემდეგ რემბოსთან ურთიერთობაც გაურთულდა, და როცა ერთხელაც მან ბრიუსელში განუცხადა, რომ ურთიერთობის შეწყვეტა ჰქონდა გადაწყვეტილი, მთვრალმა და ისტერიულ მდგომარეობაში მყოფმა ვერლენმა მეგობარი დაჭრა. ასეთი რამ ორჯერ განმეორდა, რის შემდეგაც პოეტი პოლიციაში აღმოჩნდა და ორწლიანი პატიმრობაც ჰქონდა მისჯილი...

დიდი ფრანგი პოეტი, **პოლ ვერლენი**, დაიბადა 1844 წლის 30 მარტს.

ფეხბურთი

# ირლანდიური სიმწვანე ქართული ფეხბურთის ჭაობში

პირველი გვერდიდან

**ირლანდია:** *გივენი, კერი, ოში, ჰოლანდი, ბრინი, კენინგემი, კინსელა, კარსლი, ლოჰერთი, დაფი, ჰილბეინი. მთავარი მწვრთნელი: ბრაიან კერი.*
**გოლები:** *0:1 დაფი (19`), 1:1 კობიაშვილი (61`), 1:2 ლოჰერთი (86`)*
**ყვითელი ბარათები:** *ხიზანეიშვილი, კარსლი*
**მთავარი მსაჯი:** *კიროს ბასარასი (საბერძნეთი)*

საქართველოს ნაკრებისგან უარყოფით შედეგებს ისე მივეჩვიეთ, რომ დამარცხებასთან განსაზღვრება "სამარცხვინოს" ხმარება ცოტა უადგილოც გახდა. სულ სხვა საქმეა, განსაზღვრება "რიგითი". მოდით, გავარჩიოთ, ეს რიგითი დამარცხება.

დავიწყებ ძირითადი შემადგენლობით. დღეს უკვე ნათელია, რომ ამ საქართველოს ნაკრებისგან გამარჯვების მოთხოვნა იგივეა, მოზამბიკელებს რომ სთხოვო – ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ამის მიუხედავად, როდესაც აცხადებ, რომ უკან დასახევი ყველა გზა მოჭრილი გაქვს და ირლანდიის ნაკრები აუცილებლად უნდა დაამარცხო, ისეთი ფეხბურთელები უნდა შეარჩიო, ამ ამოცანის შესასრულებლად, თეორიაში მაინც რომ იბრძოლებენ. ჩვენს შემთხვევაში კი ნაკრების ხელმძღვანელობამ, თანაც, მასპინძელის რანგში, ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი თავდამსხმელი გამოიყვანა. ხიზანეიშვილის ძირითად შემადგენლობაში გამოჩენაც, პირადად ჩემთვის, მოულოდნელი იყო, რადგან, ამ საკმაოდ პერსპექტიულმა დინამოელმა მცველმა, საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში აშკარად სუსტად, უამრავი შეცდომის ფონზე ითამაშა. ასევე ვერ ამიხსნია, ერთად ჯამარაულის, ქინქლაძის და ნემსაძის თამაში, რომლებიც, ამპლუით არ განსხვავდებიან, შეხვედრის დროს რაღაც გასამებული ცენტრის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ და უფრო ერთმანეთს


დამიენ დაფი მალე ანგარიშს გახსნის

ხელს უშლიდნენ, ვიდრე ავსებდნენ. ამ ერთი შეხედვით, "შთამბეჭდავი ტრიოს" მიუხედავად, რომლებსაც ფლანგებიდან კობიაშვილი და ცქიტიშვილი ეხმარებოდნენ, როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა პირწმინდად წააგო მოედნის ცენტრი.

სათამაშო სტრატეგიაც, ტაქტიკის არ იყოს, ერთობ უცნაური, მეტიც, ჩემი აზრით, ჩანასახშივე წამგებიანი აირჩიეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა. შეტევაში თამაშისას, ქართველი ფეხბურთელები, რატომღაც, აქცენტს უფრო მოწინააღმდეგის საჯარიმოში მაღალი ბურთების ჩაწოდებაზე აკეთებდნენ. ჩანაფიქრში, ალბათ, ამ "მაღალ ბურთებზე" ბრძოლა უნდა მოეგოთ არც თუ შთამბეჭდავი ფიზიკური კონდიციების იაშვილს და ქეცბაიას, მაგრამ, ბრიტანელებთან ამ ბრიტანულ სტილში თამაშმა, გასაგები მიზეზების გამო, არა თუ შედეგი ვერ მოიტანა, არამედ, საქართველოს ნაკრებს პირველ ტაიმში მეტოქის კარში ერთხელაც (!) კი არ დაურტყამს. პირველ 45 წუთში მასპინძლებმა კარის მიმართულებით მეტ-ნაკლებად სახიფათოდ მხოლოდ ორჯერ დაარტყეს, მაგრამ ორივეჯერ ბურთი საკმაო მანძილით აცდა მიზანს.


ხანდახან ქართველებიც უტევდნენ - ალექსანდრე იაშვილი

როგორც კი ქართველები შეტევებში ფლანგებს მიმართავდნენ, ეს კი ძირითადად მეორე ტაიმში ხდებოდა, ირლანდიელი მცველები ზონების ჩაკეტვას კარგად ველარ ახერხებდნენ და ის ალოგიკური გოლიც, შეი გივენის კარში, სწორედ ასეთ შეტევას მოყვა.

აუგს ვერ ვიტყვი ლომაიაზე, რომელმაც, ორი გოლი კი გაუშვა, მაგრამ, მისი დადანაშაულება ამ გოლებში ნამდვილად არ შეიძლება. დანარჩენ შემთხვევებში კი მან ბრწყინვალედ ითამაშა და მართლაც დაგვარწმუნა, რომ ბოლო ათეული წლის განმავლობაში ქართულ ფეხბურთში არსებული მეკარის პრობლემა მოიხსნა.

ბევრის გაგრძელება აღარც ღირს. ალექსანდრე ჩივაძემ კიდევ ერთხელ მოიმიზეზა შეუძლოდ ყოფნა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მეორე მწვრთნელი, ოთარ გაბელია გამოუშვა. ამის გამო, პროტესტის ნიშნად, ყველა ქართველმა ჟურნალისტმა დატოვა საპრესკონფერენციო დარბაზი და ასპარეზი ირლანდიელ ჟურნალისტებს დაუთმო.

გახსოვთ, ალბათ, გადაცემა "პასეანსის" მოწოდება – "თუ გსურთ გაიგოთ გამარჯვების გემო, ეთამაშეთ საქართველოს ნაკრებს!" სამ დღეში საქართველოს ნაკრებთან გამარჯვების კიდევ ერთხელ დასაჭაშნიკებლად შვეიცარიის ნაკრები გვეწვევა და ჩემნაირი გამოუსწორებელი ოპტიმისტიც ველარ იტყვის, რომ ამაში რაიმე პრობლემა შეექმნება. "ლოკომოტივის" სტადიონის დირექციას გულწრფელად ვურჩევ, რომ 10, 20, 30 და 50-ლარიანი ბილეთების ფასს ერთი ნოლი ჩამოაკლონ. თუმცა, ასეც რომ მოიქცეს, ვეჭვობ, კიდევ ერთხელ გულგატეხილი გულშემატკივარი სტადიონზე მივიდეს.

დღეს დიდი რაგბია და ყველას ეროვნულ სტადიონზე გეპატიჟებით, სადაც საქართველოს ნამდვილი ეროვნული ნაკრები გუშინდელ ტკივილს დაგავიწყებთ.




# ქართველი და ირლანდიელი ჟურნალისტები მოედანზე

ბოლო ორი დღეა საქართველოში ფეხბურთს მხოლოდ ქართველები და ირლანდიელები თამაშობენ - პროფესიულ დონეზეც და სამოყვარულოზეც. თუ პროფესიონალ ქართველ ფეხბურთელებს, იქნება ეს ახალგაზრდული ნაკრები თუ ძირითადი გუნდი, არც თუ ისე ეადვილებად მწვანე კუნძულის მკვიდრთა დაჯაბნა, ქართველი სპორტული ჟურნალისტებისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ირლანდიელი კოლეგების დამარცხება.

გუშინ, სანამ დღის უმნიშვნელოვანესი მოვლენა - საქართველო-ირლანდიის მატჩი დაიწყებოდა, საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" სტადიონზე ქართველი და ირლანდიელი სპორტული ჟურნალისტები გაეჯიბრნენ ერთმანეთს ფეხბურთის თამაშის რთულ ხელოვნებაში. ქართველმა კალმოსნებმა იმდენად კარგად ითამაშეს, რომ მეტოქეს მატჩის გადარჩენის შანსი არ დაუტოვეს. ირლანდიელებმა მასპინძლებისგან შვიდი გოლი მიიღეს და ისე სასტიკად დამარცხდნენ, რომ ალბათ თუ დიდი ხნით არა, დროებით მაინც დაკარგეს ფეხბურთის თამაშის სურვილი...

რაგბი

# თასი პორტუგალიისაა

პაატა თოთაძე

ევროპის ერთა თასმა პორტუგალიაში დაიდო ბინა სულ მცირე ერთი წლით. გუშინ პორტუგალიელებმა ტურნირის ბოლო მატჩში რუსეთის ნაკრებსაც მოუგეს და შეჯიბრი დაუმარცხებლებმა დაასრულეს. რაც არ უნდა ითქვას ქართველთა და რუმინელთა შემთხვევით მარცხზე პორტუგალიაში, ამ ქვეყნის ნაკრების პროგრესი გასულ წელთან შედარებით აშკარაა და თასიც პორტუგალიელებმა ღირსეულად მოიგეს. ქართველთა ბოლო იმედი რუსეთის ეროვნული გუნდი იყო, რომელსაც პორტუგალია უნდა დაემარცხებინა, მაგრამ... როგორც წინა მატჩებში ხდებოდა რუსებმა პირველი ტაიმი მოიგეს, მატჩი კი წააგეს - 14:25.

რუსული მედია ნაკრების გამოსვლას წლევანდელ ერთა თასზე კატასტროფულად აფასებს და აქა იქ უკვე მთავარი მწვრთნელის ალექსანდრ პერვუხინის თანამდებობიდან გადაყენების საკითხზეც საუბრობენ. ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, უმთავრესი ისაა, რომ დღევანდელმა მატჩმა საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებს შორის ინტრიგა ნაწილობრივ დაკარგა. ახლა ერთადერთი, რისი მოგებაც ბორჯღალოსნებს შეუძლიათ ანთიმოზ ივერიელის თასია.

ფორმულა 1

# ჟან ტოდტი: "მაკლარენმა" "ფერარის" დონეს ვერ მიაღწია"

კახა ფარუაშვილი

ჟან ტოდტი კვირას, მალაიზიის გრან-პრის დასრულების შემდეგაც მტკიცედ გამოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თავის პილოტებს მეორე და მეექვსე ადგილებზე ხედავდა. რუბენს ბარიკელოს მეორე ადგილმა ერთბაშად რვა ქულა შესძინა. მიხაელ შუმახერის მეექვსე პოზიციას კი ავსტრალიის გრან-პრის მეოთხე ადგილსაც თუ დავუმატებთ, ჯამში 16 ქულას მივიღებთ. ამ ციფრების ჯამით "ფერარი" კონსტრუქტორთა ჩათვლაში, ლიდერს, "მაკლარენს", 10 ქულით ჩამორჩება. და ეს მხოლოდ ორი რბოლის შემდეგ. თუმცა, ტოდტი მაინც მშვიდადაა. მიუხედავად იმისა, რომ "მაკლარენმა" ზედიზედ მეორე რბოლა მოიგო, მან არსებულ სიტუაციაში მაინც ბევრ პლუსზე გაამახვილა ყურადღება და მეტოქე ქათინაურებითაც დააჯილდოვა.

ჟან ტოდტი მიიჩნევს, რომ "მაკლარენისა" და MP4-17-ის ჰიბრიდმა გუნდი შესამჩნევად გააძლიერა, მაგრამ არ სჯერა, რომ "ფერარის" დონეზე გავიდა. ტოდტის თქმით, მეტოქის წარმატება განაპირობა სტრატეგიამ, საბურავების სწორად შერჩევამ და "ფერარის" შეცდომებმა.

**ჟან ტოდტი:** "რა თქმა უნდა, ისინი შარშანდელ სეზონთან შედარებით გაძლიერდნენ. ჩვენ ვნახეთ, რომ ძველი მანქანა განაახლეს, რომლითაც ავსტრალიაში და სეპანგში მიიღეს მონაწილეობა. კარგი ნამუშევარია! მაგრამ ჩვენც განვაახლეთ F2002. პარასკევს სეპანგში მიხაელ შუმახერმა ტრასის ახალი რეკორდი დაამყარა და თავისივე მიღწევა გააუმჯობესა".



ჟან ტოდტი

"ფერარის" უმთავრესი პრობლემის გასაღები კი, ტოდტის ვარაუდით, შეიძლება მოვლენების არასასურველი განვითარება იყოს - წვიმა, ინციდენტი სეპანგის რბოლის პირველივე მოსახვევში და ასე შემდეგ...

**ჟან ტოდტი:** "მიხაელმა რბოლა ჯერ კიდევ სტარტზე წააგო, როცა ამ ინციდენტში გაეხვია. იგი იძულებული გახდა, ბოქსებში შეჩერებულიყო მანქანის წინა ანტიფრთის გამოსაცვლელად. შემდეგ საჯარიმო დროის დაფარვას მოუნდა და, პრაქტიკულად, დაკარგა გამარჯვების შანსი. ჩვენ სტრატეგიის შეცვლა მოგვიხდა. სიმართლე გითხრათ, ყოველივე ამის შემდეგ, არც მეგონა, თუ მიხაელი ქულებს მოიპოვებდა. რაც შეეხება ბარიკელოს, ის პირველივე მოსახვევში შეაჩერეს. ბრაზილიელი იძულებული გახდა, სხვა მანქანებს გარიდებოდა და ამიტომ ლიდერობისთვის ბრძოლის პოზიციაში ერთხელაც ვერ აღმოჩნდა".

ამ კვირაში გუნდმა უფრო აქტიურად დაიწყო მუშაობა ახალ F2003-GA-ზე, რომელიც ბარსელონის ტრასაზე ძველ მოდელზე ბევრად უფრო ძლიერი უნდა იყოს. მუშაობაში ჩაერთვება გუნდის ოთხივე პილოტი - მიხაელი, რუბენსი, ლუკა ბადოერი და ფელიპე მასა. "ფერარი" აპირებს, ახალი ბოლიდი სან-მარინოს გრან-პრიზე - "სამეფო რბოლების" მეოთხე ეტაპზე გამოიყენოს.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.

"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22





## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

- **ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა - 2003"
დას: 19:00 სთ; ფასი 5-9 ლარი
- **სპორტის სასახლე**
ჯგუფი "სახე"
დას: 19:00 სთ; ფასი 12 ლარი

### თეატრები

- **მარჯანიშვილის თეატრი**
"მარადი ქმარი", რეჟ. თემურ ჩხეიძე
დას: 18: 00 სთ; ფასი 3-5 ლარი
- **სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"ჰამლეტი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას:18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
"ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს", რეჟ. გოგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
"უსიერ ტყეში", რეჟ. ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **ახმეტელის თეატრი**
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

- TMS
გიორგი შენგელაიას ფოტონამუშევრების გამოფენა
- **„ქარვასლა„**
მაია ავალიშვილის პერსონალური გამოფენა
- **ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

### კინოთეატრები

- **„ამირანი„**
"ნიუ იორკის ბანდები"
დას: 13:00; 19:00; 22:30 სთ; ფასი 6-9 ლარი
"სიყვარულის შეტყობინებით"
დას: 17:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
- **„რუსთაველი„**
"განძთა კუნძული"
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტაქსი 3"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,9 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 19:00; ფასი 5 ლარი
- **„ელისო„**
"განძთა პლანეტა"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტაქსი 3"
დას: 17:00 ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი


## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

იყიდება ჩეხური პროექტის ორი ერთოთახიანი სარემონტო ბინა 9(9) ერთმანეთის გვერდით. მეტრო „წერეთელთან". 34 88 16

იყიდება ყავლაშვილის პროექტის სამოთახიანი აგურის ბინა 1(8). გლდანის მასივი, V მკრ/ნ, IV კორპუსი. 67 96 81

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბ/აირით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000$. 23 40 68, 8(93) 32 32 74

შევიძენ 2-ოთახიან იზოლირებულ ბინას ვერა-საბურთალოს მიდამოებში. 52 53 29. 19 საათიდან

სასწრაფოდ იყიდება ვარანცოვზე ბინა ორი შესასვლელით, ბუნებრივი აირით. საერთო ფართი 100 კვ.მ. ფასი 12 000 $. 96 46 74

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.**

**ტელ: 37-28-77;**
**93-16-11; 899 539097**

## მანქანები

იყიდება !
ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
ტელ: 899 16 28 68

## სწავლება

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 38-44 43 საღამოს, 61 29 76

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). ტელ: 64-63-40, 893 282-559**

## სხვადასხვა

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**იყიდება კომპიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**

იყიდება რუმინული კედელი „კრისტინა", კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. 78 28 55, 35 38 77, 8(93) 30 40 79

შევიძენ 15 ტონიდან 100 ტონამდე სასწორს ავტომობილებისა და ჯართის ასაწონად. 70 60 99, 8(99) 55 91 70

იყიდება კომპიუტერის კატრიჯები იაფად. ალ. ყაზბეგის ქუჩა № 14. 91 18 81

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა. ტელ: 22 06 22




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**





## TV პროგრამა 30 მარტი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ამბები
15.05 მხ. ფილმი
17.15 სერიალი „კოლომბო"
18.00, 01.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
19.00 მხ. ფილმი
21.00 კურიერი
21.45 ჩვენი ეზო
22.00 60 წუთი
23.00 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ჩრდილოეთის ვარსკვლავი" 877 45-79-25 სიმონა სინიორე, ფილიპ ნუარე, „ნავი" 877 45-79-26, იურგენ პროხნოვი, ჰერბერტ გრონმაიერი. „დაქირავებული პოლიციელი" 877 45-79-27 ბერტ რეინოლდსი.
01.15 მხ.ფ. „დაქირავებული მკვლელი" მთ. რ-ში: ჯეტ ლი.
03.15 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „არხების გადართვისას"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „ამბები ჩვენზე"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 „ღამის ჯაზი"
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.15 კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი „ამფიტრიონი"
17.40 ტელეზღაპარი
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „ფრაგმენტები სურათისათვის"
19.00 „ოქროს ვექტორი"
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 რაგბი. საქართველო - რუმინეთი (მე2 ტაიმი)
21.45 „ამბოხებ"
22.15 ჩემი მშვენიერი ლედი
22.35 შორეული ახლობელი
23.15 ქართ. მხ. ფილმი „ამაღლება"
00.40 ტაიმ-აუტი
01.10 მხ. ფილმი „მილიონ ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი"

### პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 გან. ათეული
13.45 ფილმი
15.45 ფილმი
17.45 ფილმი
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
21.15 ქართული მუსათეული
22.50 კვირის საუკ. ლექსები

23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „მთელი სილამაზით"
01.50 ფილმი ღამურა „მიზანი"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 დოკ. ფილმი „საუკუნის გიგანტები"
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი ჰიტ-პარადი

### იბერია

30.03 08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „ბოშა"
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
13.00 მუსიკალურ ტალღაზე
17.00 ოპერა: მადამ ბატერფლაი
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „გამოქვაბულის დათვის კლანი"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „რით დაიმსახურე ეს"
01.00 ღამის ფილმი

### ევრიკა

11.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.35 თბილისური ოჯახები
14.00 მუსიკალური პაუზა
14.25 მხ. ფილმი „ღმერთების საჭურველი" მე-2 სერია
16.00 - 18.00 რელიგიის საათი
18.00 დოკ. ფილმი
19.00 კითხვების კორიანტელი
19.20 მუსიკალური კოლაჟი
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა ბავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
21.00 „კვირის ვესტი"
22.00 „იდენ-ტვ"
22.30 საოცარი პირამიდა
23.30 მხ. ფილმი „შუაღამის მეორე მხარე"

### მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
11.00 გადაცემა „საუბრები სტუდიაში"
12.00 მულტფილმი „უბილეთო მგზავრები ნოეს კიდობანზე"
13.40 მხ. ფილმი „სრული სისულელე"
15.35 რუს. მხ. ფილმი
17.30 მხ. ფილმი „უცხო მიწა"
19.00 „გელისიმო". გვინო იამაშიროგუმი.
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 „ოსტატები". დიზაინერი.

20.40 დოკ. სერიალი „ფოტოროგოტი" მე-6 ს.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „პენსია".
22.15 მხ. ფილმი „პასეანსი ორისათვის"
00.30 მხ. ფილმი „უკანასკნელი გარიგება".

### იმედი

11.00, 01.20 იმედის მელოდიები
12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 მულტფიმლი „ფანტომეტა" - 6
12.30 ახალგაზრდული სერიალი „უკიდურესი ზღვარი", „მარცხი" - 11 „დიდი ნახტომი" - 12
13.10 „არტ-ბულვარი" შოუ-ბიზნესი
13.45 თოქ შოუ „არჩევანი თქვენ"
15.15 სპორული პროგრამა „ასი"
15.35 ქართული ფილმი „ზოგი ჭირი მარგებელია"
17.05 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის", „მთის გორილა „ - 3
18.00 სერიალი „ლაბირინთი" - მე-4 სერია
19.30 სერიალი „შტოკინგერი" - 3
20.30 თამაში „ლარის მახე"
21.00 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი" - 3
22.00 დროება
22.40 წარსულის ერთი კვირა - 3
23.05 „მუღამები" (ფარული კამერა)
23.30 ახალი ამბების დაიჯესტი
00.28 მხ. ფილმი „ტომი და ვივი"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 ისტორიკო-სათავგადასავალო ფილმი „ახალგაზრდა იანვენჰოს"
10.45 Слово საავტორო გადაცემა
11.30 „ყველანი ვართ პატარები"
11.40 მულტსერიალი „ტომი და ჯერი"
12.15 მიუზიკლი „ჩემი მშვენიერი ლედი" შ-შშ ს.
15.00 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი „ველური გედები"
17.15 კომედია „ქალთევზა"
19.30 თრილერი „კლდე"
21.40 დოკუმენტური ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
22.30 „Новости в воскресенье
23.00 „ქალბატონები"
00.30 „Новости в воскресенье
00.50 კომედია „მკვლელობა გროს-პოინტში"
03.30 თრილერი „ლეონი"

### VII არხი

16.50 „ლა-ლა-ლა"
17.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.00 ევროპული ფეხბუთი
19.00 „აჩიკუდა"
19.50 კომპიუტერული თამაშები
20.00 ავტოტრეკინგი
20.45 რაგბი ზე-12 - 6 ერი- ირლანდია - ინგლისი
22.15 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
22.35 კომპიუტერული თამაშები

23.45 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი.
01.20 კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
09.00 Док.сериал „Твинисы"
09.20 Служу России!
09.50 Дисней-клуб
10.10 В мире животных
11.10 „Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 Дог-шоу
12.50 „Новый день", „Искатели"
13.20 „Новый день", „Теория невероятности"
13.50 „Клуб путешественников"
14.35 „Геркулес"
15.10 „Властелин вкуса"
16.05 Большие родители. А. Туполев.
16.35 „Слабое звено"
17.35 „Ералаш"
18.00 Живая природа
19.00 Времена
20.10 КВН-2003. Высшая лига.
22.30 Боевик „Мерцающий"
00.15 Бокс. Дэвид Туа - Хасим Рахман.
01.10 Триллер „Траффик"
03.45 Худ. фильм „ПОЕЗДКА В ИНДИЮ"
06.30 „Николай Озеров. Пять лет без коментария"

### РТР

07.20 Худ. фильм „ОСЕННИЙ ПОДАРОК ФЕЙ"
08.35 „Джуманджи"
09.20 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Вести-Москва
11.15 Утренний разговор
11.45, 03.15 „Городок"
12.20, 04.25 Комедия „Каникулы в Вегасе"
14.10 Парламентский час
15.00, 06.00 Вести
15.20 Вокруг света
16.15, 01.15 Фигурное катание. Чемпионат мира.
17.40 Мир на грани
18.15 Комната смеха
19.10 Худ. фильм „ТАКСИ"
20.50 В „Городке"
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 Худ. фильм „СФЕРА"
03.40 Худ.фильм „СЕМЬ ДНЕЙ"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*




# საოცნებო გამოქვაბული

## ნიკი დე სენ ფალის უკანასკნელი შედევრი

ნიკი დე სენ ფალის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა, და აი, შაბათს, 29 მარტს, მსოფლიომ მისი უკანასკნელი ნამუშევარიც იხილა: ჰანოვერის ჰერენჰოიზერის ბაღებში, ნიკი დე სენ ფალის მიერ შექმნილი გამოქვაბული გაიხსნა.

ნიკი 1999 წლიდან მუშაობდა გამოქვაბულის ახალი სახის შექმნაზე. 2002 წელს ის 71 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ "თანამებრძოლებმა", პიერ მარი ლეჟეს თაოსნობით, მისი წამოწყებული საქმე ნიკის მრავალრიცხოვანი ესკიზებისა და გეგმების მიხედვით დაასრულეს.

ამ დარბაზების შესაქმნელად მასალები საფრანგეთში იყო გაგზავნილი, სადაც ნიკი დე სენ ფალის თანაშემწეებმა ისინი სარკეებითა და მინის ნაწილებით შეამკეს. გარდა ამისა, სარკეებიან დარბაზში, რომელიც "დღისა და სიცოცხლის" თემას ეძღვნება, 40-მდე ფერად-ფერადი ფიგურაა აღმართული – ლურჯ სივრცეში ფერადი ქალები ცეკვავენ და ღამის ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას ლამობენ. საერთოდ, მთელი სივრცე სიზმრის ასოციაციას იწვევს: მუქი ლურჯი და ვერცხლისფერი მოზაიკა და ქვები, კედლებს ოქროს ვარსკვლავები, თვალები, ყვავილები და გველები ამშვენებს, და ყველგან მანათობელი "ნანები" დგანან...

ამ პროექტის განხორციელებისთვის დაახლოებით 2,5 მილიონი ევრო დაიხარჯა. აღნიშნული თანხის ყველაზე დიდი ნაწილი მიუნხენის გარემოს დაცვის ფონდმა გაიღო.

ფრანგი ხელოვანი, ნიკი დე სენ ფალი, ქალაქ ჰანოვერის საპატიო მოქალაქე იყო. "ნანების" – მძლავრი, შთამბეჭდავი ქალების ფიგურების შექმნის შემდეგ, რომლებიც ისევე, როგორც ახალ გამოქვაბულს, ჰამბურგის სანაპიროსაც ამშვენებენ, ნიკი დე სენ ფალი მსოფლიომ მნიშვნელოვან ხელოვანად აღიარა. ამის შემდეგ ის ათწლეულების განმავლობაში არ წყვეტდა ჰანოვერთან კავშირს, და მისი მრავალი ნამუშევარი ჰანოვერის შპრენგელ-მუზეუმში ინახება.

ჰანოვერი იმედოვნებს, რომ ნიკის თაყვანისმცემლები მთელი მსოფლიოდან ჩამოვლენ თავიანთი კერპის ახალი შედევრის სანახავად. ხელოვანის ესკიზების მიხედვით მოზაიკით, ქვებითა და ქანდაკებებით შემკული ხელოვნური გამოქვაბული ბაროკოს ბაღშია განლაგებული და პირველად 1676 წელს გაიხსნა.

გამოქვაბულის ხელახალი გახსნის დღესასწაულს 10 ათასი სტუმარი დაესწრო. ქალაქის მერმა, ჰერბერტ შმალშტიგმა, გამოქვაბულს "ჰერენჰაუზერის მარგალიტი" უწოდა.

"ნიკის გამოქვაბული" 5 ოქტომბრამდე ღია იქნება, და, დათვალიერების გარდა, მსურველებს (და შემძლეებს) მისი საღამოს ღონისძიებებისთვის ქირაობაც შეუძლიათ.



ლორენს ვოლენი. ნიკი დე სენ ფალის პორტრეტი

29 მარტიდან, შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!
ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიზატორ "საოჯახო ლოტოს" გათამაშება.
ფირმა "ფენიქსი"
დაწვრილებითი ინფორმაცია და კოეფიციენტების ცხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათში"

პირველი ელექტრონული ენციკლოპედია საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე - "Discover Georgia"
20%-იანი ფასდაკლება კუპონით
43 ვიდეო რგოლი, 95 აუდიო ნაწარმოები, 3,000 ილუსტრაცია, 100 გვერდი შემეცნებითი აღწერა
DIGITAL ENCYCLOPEDIA ON GEORGIA




NeoMedia
ადგილზე მიტანით
მხოლოდ 33 ლარად!
დაგვირეკეთ (920162) და შეუკვეთეთ!

## კროსვორდი





# ბრიჯი

გურამ ბერიშვილი

შემოთავაზებული იყო Helene Sobel-ის მიერ გათამაშებული ხელი. ოთხივე მოთამაშის კარტებია

Helene Sobel-ს უკავია S-ის ადგილი, იგი გამთამაშებელია და შეპირებულია აიღოს 12 (ამ დაპირებას მცირე შლემს უწოდებენ, ხოლო თუ დაპირება იქნება ყველა 13-ს აღება - დიდ შლემს). თულფია აგური. გათამაშებას იწყებს, ანუ პირველ სვლას აკეთებს გამთამაშებლის მარცხნივ მჯდომი მოწინააღმდეგე, ამჯერად W. პირველი სვლა იყო ჯვრის 7-იანი. N-დან დაიდო 8 და E-მ დადო V. მოწინააღმდეგე E შეეცადა ილუზია შეექმნა S-სათვის თითქოსდა D, 10 და 9 არის W-სთან. საქმე იმაშია, რომ ბრიჯის მოთამაშეები ხშირად იყენებენ წამოწყებას "ზემოდან მეოთხე", ანუ გათამაშებას იწყებენ ფერში ზემოდან მეოთხე კარტით, რათა პარტნიორს მისცენ საშუალება გამოთვალოს ამ ფერში გამთამაშებლის ხელში ჩამოსულ კარტზე მაღალი რამდენი ცალია. ბუნებრივია, გამთამაშებელსაც შეუძლია იგივე გაანგარიშება ჩაატაროს. ჩვეულებრივ ამ ილეთს ხმარობენ, როდესაც სარგებელს ამისაგან თვითონ ელიან. ამჯერად E-მ მშვენივრად იცის, რომ ეს კარტი არ არის ზემოდან მეოთხე, მაგრამ ცდილობს S-ს შეუქმნას ეს ილუზია და მოაკვლევინოს პარტნიორს მაღალი ჯვარი. Helene Sobel არ წამოეგო ამაზე, აიღო რა პირველი აღება K-თი, არ ჩამოვიდა ტუზი (A) და მეორე სვლაზე ჩამოვიდა ჯვრის 3-ს. რასაკვირველია, W-ს შეეძლო გაეტარებია იგი და მიეცა საშუალება პარტნიორისათვის აეღო ჯვარი, მაგრამ ჯერ ერთი ეს არაფერს აღარ შეცვლიდა (S-ს უკვე ზედმიწევნიც ეცოდინებოდა პოზიცია), მეორეც - პირველი სვლა E-დან V-ს არ ანიშნებს, რომ E-ს შეუძლია აღება. ასეა თუ ისე W დებს თულფს, მიაქვს ეს აღება და დანარჩენი უკვე ყველა აღება N-S-ისაა. S რომ ჩამოსულიყო მეორე სვლაზე A-ს W წაიღებდა აღებას და შემდეგ ერთი ჯვარი კიდევ დარჩებოდა E-ს.

| | N | |
|---|---|---|
| | ♠ D 8 7 2<br>♥ A 7 4 3<br>♦ D 10 4<br>♣ 8 5 | |
| W<br>♠ K 9 6 5 4<br>♥ K V 9 2<br>♦ 8 7 6<br>♣ 7 | N / W / E / S | E<br>♠ V 10 3<br>♥ D 8 6 5<br>♦ 5<br>♣ D V 10 9 2 |
| | ♠ A<br>♥ 10<br>♦ A K V 9 3 2<br>♣ A K 6 4 3 | |

საინტერესოა ამ დარიგების აუქციონიც. აუქციონში პირველი სიტყვა ეკუთვნის დამრიგებელს. ამ ხელში დარიგებელი იყო S. აუქციონი შემდეგნაირად მიმდინარეობდა:

S: 2♣ - ეს ნიშნავს შეპირებას აიღოს 8=6+2.

ჩვეულებრივ მოთამაშე აცხადებს იმ ფერს, რომელიც თულფად უნდა და რომელშიც კარტების ყველაზე მეტი რაოდენობა აქვს. აუქციონი იწყება ერთიდან და ნიშნავს 7 აღებას (6+1). ამჯერად ორი ჯვარი ხელოვნური გამოცხადებაა და არ ნიშნავს ჯვრის თულფად შეთავაზებას. ამ განცხადებებით S პარტნიორს ატყობინებს, რომ მას ძალიან ძლიერი ხელი აქვს და მისგან მოითხოვს ფერის დასახელებას, რომელშიც მას აქვს ტუზი (A). მას, რომ თულფად ჯვარი სდომოდა იტყოდა 1♣.

W: პას, N: 2♥ - 2♣ -ზე პასუხი: მაქვს გულის A, E: პას, S: 3♦ - თულფად აგური მინდა, W: პას, N: 4♦ - აგური გამოდგება, მეც მაქვს რაღაცა, E: პას, S: 5♣ - სიგრძით მეორე ფერი ჯვარია და ვაგრძელებთ ვაჭრობას, W: პას, N: 5♦ - მეტი არაფრის შეტყობინება აღარ მინდა, იყოს ეს შეკვეთა, E: პას, S: 6♦ - საბოლოო კონტრაქტი, მცირე შლემი, W: პას, N: პას, E: პას

| S | W | N | E |
|---|---|---|---|
| 2♣ | პას | 2♥ | პას |
| 3♦ | პას | 4♦ | პას |
| 5♣ | პას | 4♦ | პას |
| 6♦ | პას | პას | პას |

სამი პასი ზედიზედ ნიშნავს აუქციონის დამთავრებას. რაც სამი პასის წინ ითქვა დანიშნულიც ის არის, მისი შეცვლა აღარ შეიძლება. ამ წესის გამო აუქციონის არასასურველად შეწყვეტის საშიშროება არსებობს. ამიტომ აუქციონი ინფორმატულია და არა უბრალოდ აწევის საშუალება, როგორც ეს პრეფერანსშია. პარტნიორიც ყურადღებით უნდა იყოს და უდროოდ არ შეაჩეროს აუქციონი. კერძოდ ხელოვნურ გამოცხადებაზე 2♣, პარტნიორი არ ამბობს პასს, რაც არ უნდა სუსტი ხელი ჰქონდეს (რასაკვირველია, თუ ეს შეთანხმება პარტნიორებს შორის არსებობს).

შემოგთავაზებთ 2002 წლის აგვისტოს 31-ში მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშებულ ხელს შვედებსა და ფრანგებს შორის. დამრიგებელია W და ის იწყებს აუქციონს.

| W | N | E | S |
|---|---|---|---|
| Mari | Marath | Bompis | Efraimsson |
| 1♣ | 2♣ | 2♥ | პას |
| 4♥ | პას | პას | პას |

W-E ფრანგებია, N-S-ს კი შვედები. აუქციონი Christian Mari-მ შეუკვეთა 10 აღება გულში. იგი გამთამაშებელია (ბრიჯის წესებით გამთამაშებელია ის ვინც პარტნიორებს შორის პირველად წარმოთქვა აუქციონში გამარჯვებული ფერი).

თუ დაუკვირდებით კარტს დაინახავთ, რომ W-E-ს დასაკარგი კარტებია ყვავში 1, აგურში 2 და ჯვარში 1. თითქოს კონტრაქტი შეუსრულებელია. გამთამაშებლის საბედნიეროდ N-მა არ დაიწყო აგურით. ამ შემთხვევაში N-S აიღებდა ორ აგურს. ყვავისა და ჯვრის დაკარგვა კონტრაქტს ჩააგდებდა. ამ წამოწყების მოძებნა შეუძლებელიც იყო, N-მა არ იცის აგურის K სად არის და ბუნებრივია ეშინია, რომ იგი W-სთანაა. N-მა გათამაშება დაიწყო ჯვრის K-თი, Christian Mari-მ დადო ჯვრის 5, N-მა გააგრძელა ჯვარი და კონტრაქტი გადარჩა, Christian Mari-მ შეასრულა დანაპირები, მან 10 აიღო. თქვენც ეცადეთ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ გამთამაშებელი (W), თქვენგან განსხვავებით, მოწინააღმდეგის კარტებს ვერ ხედავს.

| | N | |
|---|---|---|
| | ♠ K 7<br>♥ V 10<br>♦ A V 9<br>♣ K D V 8 7 4 | |
| W<br>♠ D 4<br>♥ A K 8 5 4 3 2<br>♦ D 6<br>♣ A 5 | N / W / E / S | E<br>♠ A 8 6 5 3<br>♥ 9 6 5<br>♦ 8 2<br>♣ 10 6 3 |
| | ♠ V 10 9 2<br>♥ D<br>♦ K 10 7 5 4 3<br>♣ 9 2 | |

Christian Mari-ს წინდახედულობა სწორედ პირველის არ აღებაშია. მას რომ პირველი აეღო შესაძლოა კონტრაქტი ჩავარდნილიყო კიდეც.

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.